2018

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში

ANNUAL REPORT OF THE OFFICE OF BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA 2018

BUSINESS OMBUDSMAN
OF GEORGIA

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

2018 წელი ბიზნესისთვის დინამიკური იყო. ბიზნესომბუდსმენის აპარატმა ბევრ გამოწვევას უპასუხა. საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივისა და საკუთრების უფლების დაცვის მიმართულებით 2018 წელსაც ლიდერის პოზიციაზეა. ქვეყნის ბიზნესგარემოს მიმზიდველობას განაპირობებს დაბალი ტრანზაქციული ხარჯები, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და ქვეყნის პოზიციონირება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, რაც ასახულია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით მეგობარ ქვეყნებთან. უპირატესობების მიუხედავად სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად იჩენს თავს საკითხები, რომლებიც კერძო სექტორს აწუხებს და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან სწრაფ რეაგირებას. ასევე, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესის წარმოებაზე, საჭიროებს შეფასებას და ახალი მოთხოვნების შესაბამისად კორექტირებას. ასეთ დროს კიდევ უფრო იზრდება ჩვენი - როგორც მედიატორის როლი კერძო სექტორსა და ხელისუფლებას შორის.

2018 წელს ბიზნესის წარმომადგენლებთან 1000-ზე მეტი შეხვედრა გაიმართა, რომელთა შორის უმრავლესობა კომპანიების ინდივიდუალურ საქმეებს ეხებოდა. 40-მდე შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა სექტორულ ბიზნესასოციაციასთან, ორჯერ მოვიარეთ საქართველოს რეგიონები და შევხვდით ადგილობრივ ბიზნესმენებს ყველა დიდ ქალაქში. თბილისის შემდეგ რეგიონებს შორის ყველაზე აქტიური აჭარა იყო და სწორედ ამიტომ, 2018 წლის სექტემბრიდან აჭარაში ბიზნესომბუდსმენის მუდმივი წარმომადგენელი დაინიშნა.

2018 was a dynamic year for business. The Office of the Business Ombudsman has responded many challenges. In 2018, Georgia is again in the leading position in the ease of doing business and protecting the property rights. Attractiveness of the country's business environment is stipulated by the low transaction costs, convenient geographical location and the positioning of the country in the international trade relationships, which is reflected in free trade agreements signed with the friendly countries. In the process of entrepreneurial activity, despite its advantages, constantly appear issues bothering the private sector and requires a prompt reaction from the side of the government. Also, the decisions and regulations made by the different Administrative Bodies, which influence on the business, need assessment and correction in accordance with the new requirements. In such situation, our-as the mediator's role and the government increases more between the private sector.

In 2018, more than 1000 meetings were held with representatives of business, most of them were concerning the individual activities of the companies. Up to 40 meetings were held with the various Business Association Sectors. We have visited Georgian regions twice and had met the local businessmen in all big cities. Adjara was the most active, among the regions after Tbilisi and thus, since September, 2018 there was appointed a permanent representative of the Business Ombudsman.

We have participated during the whole year in different business conferences, international business forums, discussions organized by the non-governmental and consultancy companies.

მთელი წლის განმავლობაში ვმონაწილეობდით სხვადასხვა ბიზნესკონფერენციებში, საერთაშორისო ბიზნესფორუმებში, არასამთავრობო და საკონსულტაციო კომპანიების მიერ ორგანიზებულ დისკუსიებში. ნაყოფიერია ჩვენი თანამშრომლობა დარგობრივ ასოციაციებთან და ეკონომიკურ გაერთიანებებთან. გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ეს წელი ძალიან აქტიური იყო რეგულაციებისა და ახალი საკანონმდებლო ინიციატივების კუთხით. ბიზნესთან შეჯერებული პოზიციებით და ადმინისტრაციულ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით ვცდილობთ, რეგულაციების ტვირთი იყოს ოპტიმალური და კერძო სექტორს იმპლემენტაციისთვის გონივრული ვადები ჰქონდეს.

ვიმუშავეთ 316 საქმეზე და მოვახერხეთ, რომ დასრულებული საქმეების 65% ბიზნესომბუდსმენის შუამდგომლობებითა და რეკომენდაციებით მეწარმის სასარგებლოდ სრულად ან ნაწილობრივ გადაწყვეტილიყო.

2019 წელს ბიზნესგარემოს მიმართულებით მთავარ გამოწვევად რჩება მოქნილი სასამართლო სისტემა ბიზნესდავების ეფექტურად გადასაწყვეტად, ბიუროკრატია საჯარო სექტორის საშუალო რგოლში, ბიზნესის შესაძლებლობების ადეკვატური და პროპორციული რეგულაციები.

გასულ წელს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს შორის აღსანიშნავია დღგ-ს დაბრუნების პროცედურის გამარტივება, ელექტრონული საგადასახადო რეზიდენტის რეფორმა, მსოფლიო ბანკის ease Doing Business-ის რეიტინგში მე-6 პოზიციაზე დაწინაურება, თანამშრომლობის დაწყება საფრანგეთი საარბიტრაჟო სასამართლოსთან და მცირე ბიზნესის რეფორმა (დაბეგვრის ახალი შეღავათიანი რეჟიმი).

2018 წელს მუშაობა დაიწყო ბიზნესომბუსმენის სპეციალურმა პორტალმა, რომელიც საშუალებას იძლევა ბიზნესთან კომუნიკაცია კიდევ უფრო ეფექტური გახდეს, ბიზნესს აქვს საშუალება თვალი ადევნოს საკუთარი საქმეების სტატუსებსა და მიმდინარეობას, ასევე საშუალება გვაქვს, ვაწარმოოთ სტატისტიკა და ანალიტიკა მსოფლიო ბანკის (IFC) კრიტერიუმების შესაბამისად.

Our cooperation with the sectoral associations and economic union was fruitful. For the purpose of sharing the experience and deepening the cooperation, we have signed memorandums of cooperation with local and international organizations. This year was very active in terms of regulations and new legislative initiatives. By the balanced
position with business sector and closer cooperation with the administrative bodies, we are trying to make the optimal burden of the regulations
and private sector to be given reasonable terms for their implementation.
We have worked on 316 cases and managed to resolve fully or
partially 65% of completed cases In favor of the entrepreneurs by the
solicitations and recommendations of the
Business Ombudsman.
In 2019, the flexible judicial system for the effective settlement of business disputes, bureaucracy in the middle circle of the public sector, adequate and proportional regulations of the business opportunities remain as the main challenges in the direction of the business environment.
Among the steps made forward last year in order to improve the business environment, there should be noted simplification of VAT returning procedure, reform of e-residency taxation, promotion on 6th place in the rank of the World Bank's ease of Doing Business, starting the cooperation with the arbitrary court of france and the reform of a small business (new preferential taxation regime).
Special portal of the Business Ombudsman
was launched in 2018, which allows to become
business communication more effective, the
business has the opportunity to follow the
statuses and progress of the own applications, also
we have an opportunity to carry out statistics
and analytics in accordance with criteria of the
World Bank`s International Finance Corporation
(IFC).
We are working to be able to protect the business interests in future not only with regards to the Administrative Bodies, but also to strengthen the positions of the private sector in judicial system. Exactly for this purpose the Parliament of Georgia has initiated the amendment to the law "On the Business Ombudsman of Georgia", which grants us authority to fulfil the function of the "Friend of Court" (Amicus Curiae) in the current administrative disputes in the system of common courts.

ვმუშაობთ, რათა მომავალში შევძლოთ ბიზნესის ინტერესების დაცვა არამხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებით, არამედ სასამართლო სისტემაში კერძო სექტორის პოზიციების გაძლიერება, სწორედ ამ მიზნით საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია ცვლილება „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ" კანონში, რომელიც გვანიჭებს უფლემოსილებას საერთო სასამართლოების სისტემაში მიმდინარე ადმინისტრაციულ დავებშიც შევასრულოთ სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია.

ქართული ბიზნესის ინტერესების უცხოურ ბაზრებზე დასაცავად გავაღრმავებთ თანამშრომლობას პარტნიორ ქვეყნებში ჩვენს კოლეგა ინსტიტუტებთან. ასევე, ეროვნულ ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში ბიზნესომბუდსმენის ოფისი იღებს ლიდერის როლს საქართველოში ბიზნესის კეთილსინდისირების მიმართულებით.

2018 წელს ბიზნესომბუდსმენის აპარატის პროექტების მხარდაჭერისათვის მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა (IFC) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID). დარწმუნებული ვარ, მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ ნაყოფიერ თანამშრომლობას ამ და სხვა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან.

განსაკუთრებული მადლობა კერძო სექტორს ნდობისთვის და აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას მზაობისთვის ღიაობისა და დისკუსიისთვის.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა ბიზნესომბუდსმენის აპარატის ყველა თანაშრომელს ბიზნესინტერესების დასაცავად თავდადებული შრომისთვის!

We will enhance the cooperation with our colleague institutions in the partner countries in order to protect the Georgian business interests on the foreign markets. Also, the Office of Business Ombudsman in the National Anti-Corruption Action Plan takes the role of the leader in the field of Business Integrity in Georgia.

I would like to give my special thanks to the World Bank's International Finance Corporation (IFC) and the United States Agency for International Development (USAID) for supporting the projects of the Office of the Business Ombudsman in 2018. I am sure we will continue the fruitful cooperation with the aforementioned and other international and donor organizations.

My special thanks to the private sector for trust and to the Executive and Legislative Government for openness and readiness for discussions.

And finally, I would like to express my special thanks to all employees of Business Ombudsman's Office for their dedicated work to protect the business interests!

ჩვენი გუნდი / OUR TEAM

ირაკლი ლექვინაძე
საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

Irakli Lekvinadze
Business Ombudsman
of Georgia

ზურაბ ძნელაშვილი
ბიზნესომბუდსმენის
მოადგილე

Zurab Dznelashvili
Deputy Business
Ombudsman

ლევან კალანდაძე
ბიზნესომბუდსმენის
მოადგილე

Levan Kalandadze
Deputy Business
Ombudsman

ტარიელ გიორგაძე
ბიზნესომბუდსმენის
წარმომადგენელი
აჭარის ავტონომიურ
რესპუბლიკაში

Tariel Giorgadze
Representative of Business
Ombudsman in Autonomous
Republic of Adjara

**გიორგი
კერვალიშვილი**
ბიზნესანალიტიკოსი

Giorgi Kervalishvili
Business Analyst

სერგო სანიკიძე
ანალიტიკოსი

Sergo Sanikidze
Analyst

**მიხეილ
ტყეშელაშვილი**
ექსპერტი
სამართლებრივ
საკითხებში

Mikheil
Tkeshelashvili
Legal Expert

დავით რუხაძე
ექსპერტი
საგადასახადო
საკითხებში

Davit Rukhadze
Tax Expert

დავით ქოჩიაშვილი
ექსპერტი
სამართლებრივ
საკითხებში

David Kochiashvili
Legal Expert

ლელა ტაბატაძე
ექსპერტი
საგადასახადო
საკითხებში

Lela Tabatadze
Tax Expert

ჟუჟუნა დიასამიძე
ექსპერტი
საგადასახადო
საკითხებში

Zhuzhuna Diasamidze
Tax Expert

თამარ ჩაკვეტაძე
პროექტების მენეჯერი

Tamar Chakvetadze
Projects Manager

ელენე კერესელიძე
კომუნიკაციების
სამსახურის უფროსი

Elene Kereselidze
Head of Communications
Office

ნინო ცეკვავა
ოფის მენეჯერი

Nino Tsekvava
Office Manager

თამარ თარხნიშვილი
ბუღალტერი

Tamar Tarkhnishvili
Accountant

მოკლე ისტორია / A BRIEF HISTORY

საქართველოში ბიზნესომბუდსმენის საქმიანობას საფუძველი ჩაეყარა 2011 წელს, როდესაც შეიქმნა საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი; იგი საჩივრებზე რეაგირებით, კანონმდებლობაში ან/და პრაქტიკაში სისტემური ხარვეზების გამოვლენითა და საგანმანათლებლო საქმიანობით ახორციელებდა გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვას. 2015 წლის 5 ივნისიდან ამოქმედდა "საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზეც ინსტიტუტმა საქმიანობა ახალი სახელწოდებით განაგრძო.

Activities of Business Ombudsman's in Georgia was founded in 2011, when the institute of Tax Ombudsman was created; It was carrying out protection of the Tax Payers Rights by means of responding to complaints, identifying the system defaults in the legislation or/and practice and through the educational activity. From 5th of June 2015, the law "On the Business Ombudsman of Georgia" was enacted, on bases of which the Institute has continued its activities under the new title. Makes appeals, talks on behalf of this group and tries to improve the conditions as for the group members, as well as for the society as a whole.

გიორგი პერტაია
საგადასახადო ომბუდსმენი
2011 წლის იანვრიდან - 2012 წლის ივლისამდე

Giorgi Pertaia
Tax Ombudsman from
January 2011 till July 2012

გიორგი გახარია
საგადასახადო ომბუდსმენი
2013 წლის მარტიდან - 2015 წლის ივნისამდე,
საქართველოს ბიზნესომბუდსმენი
2015 წლის ივნისიდან - 2016 წლის ივლისამდე

Giorgi Gakharia
Tax Ombudsman from March
2013 till June 2015,
Business Ombudsman of Georgia from
June 2015 till July 2016

მიზანი

ბიზნესომბუდსმენის საქმიანობის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობა. ბიზნესომბუდსმენი მოქმედებს საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

Objective

The Aim of the Business Ombudsman`s activities is to promote and protect the rights and legitimate interests of persons engaged in entrepreneurial activity in the territory of Georgia. Business Ombudsman acts in accordance with the Law of Georgia on Business Ombudsman of Georgia.

საქმიანობის პრინციპები

ბიზნესომბუდსმენის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- სამართლიანობა
- ობიექტურობა
- მიუკერძოებლობა
- კანონიერება

ბიზნესომბუდსმენის მიერ განსახილველ პრობლემათა სახეები

ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ გამოვლენილი პრობლემები, წარმოშობის საფუძვლის მიხედვით, შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად:

ა) კანონმდებლობის ხარვეზის საფუძველზე წარმოქმნილი პრობლემები

ბ) კანონმდებლობის ადმინისტრირებისას წარმოქმნილი პრობლემები

პრობლემებზე რეაგირება

ბიზნესომბუდსმენის რეაგირება გამოვლენილ პრობლემებზე:

- რეკომენდაცია
- შუამდგომლობა
- სამართლებრივი დასკვნა
- ნორმატიული აქტის პროექტი

Activity Principles

The main principles of Business Ombudsman activities are the following:

- Justice
- Objectivity
- mpartiality
- Legality

Type of Problems to be reviewed by the Business Ombudsman

Problems revealed by the Office of Business Ombudsman, can be divided in two parts depending on its bases:

a) Problems arisen due to the defects of the legislation

b) Problems arising during the administration of the legislation

Responding to the Problems

Responding of the Business Ombudsman on the identified problems:

- Recommendations
- Solicitations
- Legal Conclusions
- The Projects of the Normative Acts

საჩივრის დასაშვებობა

1. შემოგაქვთ საჩივარი კერძო ბიზნესის წინააღმდეგ?

☒ დიახ ☐ არა

2. აღნიშნულ საკითხზე აქვს თუ არა გადაწყვეტილება მიღებული სასამართლოს?

☒ დიახ ☐ არა

3. ეხება თუ არა საქმე სახელშეკრულებო დავას ან სავარაუდო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას?

☒ დიახ ☐ არა

თქვენი განაცხადის განხილვა დასაშვებია

ADMISSIBILITY OF THE APPEAL

1. ARE YOU FILING AN APPEAL AGAINST PRIVATE BUSINESS?

YES ☒ ☐ NO

2. HAS THE COURT MADE A DECISION ON THE MENTIONED ISSUE?

☒ YES ☐ NO

3. DOES THIS CASE APPLY THE CONTRACTUAL DISPUTE OR THE ALLEGED CRIMINAL RESPONSIBILITY?

☒ YES ☐ NO

your application is admissible

განაცხადის განხილვის პროცესი

განაცხადის შეტანა

განაცხადის გაკეთება შესაძლებელია როგორც ონლაინ პორტალის (portal. businessombudsman .ge), ასევე, ელექტრონული ფოსტის, ცხელი ხაზის ან წერილობითი განცხადების საფუძველზე.

განაცხადის დასაშვებობა

ბიზნესომბუდსმენის აპარატი განიხილავს შემოსული განაცხადის დასაშვებობას და საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

განაცხადის განხილვა

საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის გამოთხოვის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ბიზნესომბუდსმენი განიხილავს წარმოდგენილ საჩივარს.

განაცხადის განხილვის შედეგები

განაცხადის განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, ბიზნესომბუდსმენის აპარატი ამზადებს შესაბამის დასკვნას. საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებსა და შუამდგომლობებს. ასევე, უფლებამოსილია მოამზადოს შესაბამის ნორმატიულ აქტში შესატანი ცვლილებების პროექტი.

Application Reviewing Process

Submit an Application

Making of an application is possible through the online portal (portal.businessombudsman.ge), as well as by e-mail address, hot line or on bases of written application.

Application Review Process

The Office of Business Ombudsman has discussed the admissibility of the received application and in case of necessity is authorized to require submission of an additional document.

Application discussion

By query the information from the public institution and under the involvement of the interested parties, the Business Ombudsman reviews the submitted complaint.

Results of the application overview

Based on the results of the application review, the Business Ombudsman's Office prepares the relevant conclusion. In case of necessity it issues recommendations and mediations. It is also entitled to prepare the project of amendments which shall be added in the Normative Act.

ბიზნესომბუდსმენის აპარატი წარმოდგენილია

The Office of Business Ombudsman is represented in the

- ინვესტორთა საბჭო / The Board of Investors
- ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭო / Dispute Resolution Board of the Ministry of Finance
- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო / Dispute Resolution Board of the State Procurement
- სახელმწიფო ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია / Commission for the study issues related to the Contracts signed for the purpose of State property disposal

2018 განხორციელებული და ინიცირებული პროექტები / Impelemented and Initiated Projects

სასამართლოს მეგობარი
Friend of the Court
(Amicus Curiae)

2018 წელს საქართველოს პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც „სასამართლოს მეგობრის" ფუნქციის გამოყენების არეალი ფართოვდება და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გარდა განხორციელდება საერთო სასამართლოების სისტემაშიც. აღნიშნული ცვლილება საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს საშუალებას მისცემს, მხარი დაუჭიროს ბიზნესსექტორს ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმდინარე დავებში. კერძოდ, სასამართლოს წარუდგინოს რეკომენდაცია ან/და მიავლინოს ადვოკატი დავის პროცესში.

In 2018 the legislative initiative was submitted to the Parliament of Georgia, according to which the area of usage the „Friend of the Court" function expands and besides the Constitutional Court of Georgia it will be executed in the system of common courts. The mentioned amendment will give the opportunity to the Office of Business Ombudsman to support the business sector in the current disputes with Administrative Bodies. In particular, to submit the recommendation to the court or/ and assign a lawyer in the process of dispute.

AMICUS CURIAE

ტრეინინგი მედიაციის საკითხებზე საჯარო მოხელეებისთვის

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ინიციატივით და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგნლებისათვის საჯარო და კერძო სექტორს შორის მედიაციის საკითხებზე ორ დღიანი ტრენინგი გაიმართა. ტრენინგის მონაწილეებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცათ.

Training on Mediation for Public Sector Representatives

With the initiative of the office of Business Ombudsman of Georgia and under the support of Georgian Chamber of Commerce and Industry, two-days training courses were held on "Mediation between the Public and Private sectors" for public sector representatives. The appropriate certificates have been granted to the training participants

BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი

სამომავლო გეგმები
Future Plans

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის ჩართულობა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) რეკომენდაციების მიხედვით შემუშავებულ 2019-2020 წლების ეროვნულ ანტი-კორუფციულ სამოქმედო გეგმაში

Involvement of the Business Ombudsman of Georgia in the National Anti-Corruption Action Plan, 2019-2020, developed under the recommendations of the Organization for Economic Co-operation and Development (OECD)

2019 – 2020 წლების ეროვნულ ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი იღებს ლიდერის როლს ბიზნესის კეთილსინდისიერების მიმართულების გაძლიერებისთვის საქართველოში, რომელიც მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს:

- სასწავლო, საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, ბიზნესის კეთილსინდისიერების შესახებ;
- საერთაშორისო დონეზე ბიზნესის კეთილსინდისიერების მიმართულებით ჩართულობის გაძლიერება;
- ღონისძიებების ორგანიზება კერძო და საჯარო სექტორის, აგრეთვე მედიის მონაწილეობით.

For the purpose of strengthening the direction of the business integrity in Georgia, the Georgian Office of the Business Ombudsman takes the role of the leader in the National Anti-Corruption Action Plan, 2019 – 2020 which covers various activities:

- Campaigns of trainings, rising awareness activities on Business Integrity;
- Involvement in the direction of the Business Integrity on the international level;
- Organizing of the events with the participation of the private and public, as well as media sectors.

OECD

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი უკრაინის ბიზნესომბუდსმენის საბჭოსთან

Memorandum of Cooperation with the Council of the Ukraine's Business Ombudsman

2019 წელს მნიშვნელოვნად გაძლიერდება თანამშრომლობა პარტნიორი ქვეყნების კოლეგა ორგანიზაციებთან. ბიზნესომბუდსმენის ოფისები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი. ჩვენი მიზანია, თანამშრომლობის გაძლიერებით გავაზიაროთ არსებული ცოდნა და გამოცდილება, ასევე იმ ქვეყნებში, სადაც წარმოდგენილია ქართული ბიზნესი, გვქონდეს მათი მხარდაჭერის ბერკეტები.

ამ მიზნით, 2019 წელს გაფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატსა და უკრაინის ბიზნესომბუდსმენის საბჭოს შორის.

In 2019 the cooperation with the colleague organizations of the partner countries has been significantly strengthened. The Offices of Business Ombudsman in different countries are represented in different ways. Our goal is to share the knowledge and experience by means of strengthening the cooperation, also to have leverages of their support in those countries, where the Georgian business is being represented.

For this purpose the Memorandum of the Mutual Cooperation between the Council of the Ukraine's Business Ombudsman and the Office of Georgian Business Ombudsman has been signed in 2019.

Business OMBUDSMAN Council

ბიზნესომბუდსმენის პორტალი / The Portal of Business Ombudsman

www.portal.businessombudsman.ge

მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მხარდაჭერით შეიქმნა და დაინერგა ბიზნესომბუდსმენის აპარატის ელექტრონული პორტალი.
პორტალის გამოყენებით ბიზნესის წარმომადგენლებს შეუძლიათ თავიანთი განცხადება დაარეგისტრირონ და პასუხი მიიღონ ელექტრონული ფორმით, ასევე თვალი ადევნონ შემოსული განცხადების სტატუსებს და საქმის მიმდინარეობას. პორტალი IFC-ის კრიტერიუმების შესაბამისად სტატისტიკისა და ანალიზის წარმოების საშუალებას იძლევა.

Electronic portal of the Office of Business Ombudsman has been created and implemented under the support of the World Bank's International Finance Corporation (IFC).
By using the portal, the representatives of the business will have the opportunity to register their applications and receive the responds in the electronic form, also to follow the statuses of the applications and the progress of the case. The portal allows to carry out the statistics and analyses in accordance with the IFC criteria.





საქართველოს ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენელი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

Representative of Business Ombudsman of Georgia in the Autonomous Republic of Adjara

Since 2018, a special representative of Business Ombudsman was appointed in Adjara. Tariel Giorgadze, the representative of Business Ombudsman of Georgia was represented by the Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze and the Chairman of Autonomous Republic of Adjara to the representatives of about 200 acting private sectors in the region. It should be noted that according to the number of applications received in the Office of Business Ombudsman, the Autonomous Republic of Adjara is lagging behind only the indicator of the capital city.

2018 წლის სექტემბრიდან აჭარაში ბიზნესომუდსმენის სპეციალური წარმომადგენელი დაინიშნა. საქართველოს ბიზნესომბუდსმენის წარმომადგენელი ტარიელ გიორგაძე რეგიონში მოქმედ 200-მდე კერძო სექტორის წარმომადგენელს საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ წარუდგინეს.
აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში შემოსული განცხადებების რაოდენობის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მხოლოდ დედაქალაქის მაჩვენებელს ჩამორჩება.

თანამშრომლობა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან

Cooperation with the Georgian Technical University

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში, ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ განხილული საქმეების მიხედვით, 2019 წელს იგეგმება სასწავლო მაგალითების კრებულის შექმნა და გამოცემა.

In 2019 creation and publishing of the collection of educational examples is being planned in accordance with the cases discussed by the Office of Business Ombudsman, within the frameworks of cooperation between the faculties of the Law and International Relations and Business Technologies of Georgian Technical University.

ბიზნესომბუდსმენის ოფისის შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგი

მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მხარდაჭერით, 2019 წლის აპრილში იგეგმება ბიზნესომბუდსმენის აპარატის წევრებისთვის შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგი, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა: უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (FDI), ტექნიკური მემორანდუმების მომზადება, პრობლემების გადაწყვეტის ტიპები, მედიაცია - მექანიზმი ინვესტორებისთვის პრობლემის დროულად და ეფექტურად გადასაწყვეტად.

Capacity Building Program for the Office of Business Ombudsman

It is planned Capacity Building Training for Business Ombudsman Office in April, 2019 with the support of the World Bank's International Finance Corporation (IFC). Main topics of the training are: Introduction to Investment Policy – Role of FDI, Preparation of technical memorandum, Problem-solving techniques, Mediation - a mechanism for investors to solve the problem timely and efficiently.

WORLD BANK GROUP
Finance, Competitiveness & Innovation

შემოსული განცხადებების სტატისტიკა
Statistics on Received Applications

ბიზნესომბუდსმენის აპარატში 2018 წლის მომართვიანობის სტატისტიკა კორესპონდენციის ტიპების მიხედვით

Statistics of Referrals in the Office of Business Ombudsman by types of corresponding, 2018

ბიზნესომბუდსმენის აპარატში 2018 წლის მომართვიანობის სტატისტიკა საქმიანობის სფეროების მიხედვით

Statistics of Referrals by Business Sectors in the Office of the Business Ombudsman, 2018



59 საცალო და საბითუმო ვაჭრობა18%	18% Retail and Wholesale Trade 59
50 მომსახურება 16%	16% Services 50
39 წარმოება 12%	12% Industry 39
32 მშენებლობა, ინფრასტრუქტურა 10%	10% Construction, Infrastructure 32
21 სოფლის მეურნეობა 7%	7% Agriculture 21
17 განათლება, ხელოვნება 5%	5% Education, Culture 17
12 მრეწველობა 4%	4% Manufacture 12
10 საფინანსო სექტორი 3%	3% Financial Sector 10
8 ბუნებრივი რესურსების მოპოვება3%	3% Natural resources extraction 8
8 ენერგეტიკა 3%	3% Energy Sector 8
8 ტურიზმი 3%	3% Tourism 8
8 ჯანდაცვა 3%	3% Healthcare 8
7 ტრანსპორტირება, ლოჯისტიკა 2%	2% Transportation and warehouse services 7
3 საინფორმაციო საკომუნიკაციო სერვისები 1%	1% Information Communication Services 3
34 სხვა სერვისები 10%	10% Other Services 34

ბიზნესომბუდსმენის აპარატში 2018 წლის მომართვიანობის სტატისტიკა მოპასუხე უწყებების მიხედვით

Statistics of Referrals by Business Responsible Entities in The Office of Business Ombudsman, 2018



117 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 38%

44 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 14%

42 ადგილობრივი თვითმმართველობა 5%

16 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 5%

14 საქართველოს პარლამენტი 3%

10 სასამართლოები 3%

9 პროკურატურა 2%

8 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 2%

7 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 2%

6 კონკურენციის სააგენტო 2%

6 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 2%

5 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 1%

3 საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 1%

3 საქართველოს ეროვნული ბანკი 1%

1 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 1%

14 სხვა სტრუქტურები 5%

38% Ministry of Finance of Georgia and its structures 117

14% Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia and its structures 44

5% Local self-governance 42

5% Ministry of Environment Protection Agriculture of Georgia and it`s structures 16

3% Parliament of Georgia 14

3% Courts 10

2% Prosecutor's Office 9

2% Ministry of Justice of Georgia and its structures 8

2% Ministry of Internal Affairs of Georgia 7

2% Competition Agency 6

2% Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia 6

1% Ministry of Foreign Affairs of Georgia and its structures 5

1% Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia and its structures 3

1% National Bank of Georgia 3

1% State Procurement Agency 1

5% Other Structures 14

ბიზნესომბუდსმენის აპარატში 2018 წლის მომართვიანობის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით

Statistics of Referrals by Regions in the Office of Business Ombudsman, 2018



175 თბილისი 55% — 55% Tbilisi 175
39 აჭარა 12% — 12% Adjara 39
21 კახეთი 7% — 7% Kakheti 21
19 ქვემო ქართლი 6% — 6% Kvemo Kartli 19
17 გურია 5% — 5% Guria 17
13 მცხეთა-მთიანეთი 4% — 4% Mtskheta-mtianeti 13
11 იმერეთი 4% — 4% Imereti 11
11 შიდა ქართლი 4% — 4% Shida Kartli 11
10 სამეგრელო - ზემო სვანეთი 3% — 3% Samegrelo - Zemo Svaneti 10



ბიზნესომბუდსმენის აპარატში 2018 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მომართვიანობის სტატისტიკა

Statistics of Referrals in the Office of Business Ombudsman from Adjara Autonomous Republic, 2018



ბიზნესომბუდსმენის აპარატში 2018 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მომართვიანობის სტატისტიკა კორესპონდენციის ტიპების მიხედვით

Statistics of Referrals in the Office of Business Ombudsman by types of corresponding from Adjara Autonomous Republic, 2018



ბიზნესომბუდსმენის აპარატში 2018 წლის მომართვიანობის სტატისტიკა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემავალ თვითმმართველობების მიხედვით

Referrals Statistic of the Office of Business Ombudsman by the Local Self-government Authorities in Adjara Autonomous Republic , 2018

ბიზნესომბუდსმენის აპარატში 2018 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მომართვიანობის სტატისტიკა საქმიანობის სფეროების მიხედვით

Referrals Statistic on Business Sectors in the Office of Business Ombudsman by Adjara Autonomous Republic, 2018

- 12 საფინანსო სექტორი 31%
- 10 მშენებლობა, ინფრასტრუქტურა 26%
- 4 მომსახურება 10%
- 3 ტრანსპორტირება, ლოჯისტიკა 7%
- 3 წარმოება 7%
- 2 საცალო და საბითუმო ვაჭრობა 5%
- 2 მრეწველობა 5%
- 1 ენერგეტიკა 3%
- 1 განათლება, ხელოვნება 3%
- 1 ჯანდაცვა 3%



- 31% Financial Sector 12
- 26% Construction, Infrastructure 10
- 10% Services 4
- 7% Transportation, warehouse services 3
- 7% Manufacture 3
- 5% Retail and Wholesale Trade 2
- 5% Industry 2
- 3% Energy Sector 1
- 3% Education, Culture 1
- 3% Healthcare 1

ბიზნესომბუდსმენის აპარატში 2018 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან მომართვიანობის სტატისტიკა მოპასუხე უწყებების მიხედვით

Referrals Statistic on Responsible Entities in The Office of Business Ombudsman by Adjara Autonomous Republic, 2018



17 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 44%	44% Ministry of Finance of Georgia and its structures 17
7 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 18%	18% Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia and its Structures 7
3 ბათუმის მერია 8%	8% Batumi City Hall 3
2 ქობულეთის მერია 5%	5% Kobuleti City Hall 2
2 ხულოს მერია 5%	5% Khulo City Hall 2
2 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 5%	5% Ministry of Finance and Economy of Adjara Autonomous Republic 2
2 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 5%	5% Ministry of Justice of Georgia and its structures 2
2 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მასში შემავალი სტრუქტურები 5%	5% Ministry of Internal Affairs of Georgia and its structures 2
2 თბილისის მერია 5%	5% Tbilisi City Hall 2

BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი



ბიზნესომბუდსმენის აპარატში 2018წელს შემოსულ საქმეებზე რეაგირების სტატისტიკა

Responses Statistics on referrals received the Office of the Business Ombudsman in 2018

ბიზნესომბუდსმენის აპარატის 2018 წლის საქმეების სტატუსები
Statuses of Cases in the Office of the Business Ombudsman, 2018



131 მიმდინარე 42%
103 დადებითად გადაწყვეტილი 32%
57 უარყოფითად გადაწყვეტილი 18%
19 ნაწილობრივ გადაწყვეტილი 6%
6 ჩვენი კომპეტენცია არ არის 2%

42% Ongoing 131
32% Positively Resolved 103
18% Rejected 57
6% Partly Resolved 19
2% Out of Competence 19

შენიშვნა / NOTE

2018წელს დასრულებული საქმეების 65%-ში ბიზნესომბუდსმენის პოზიცია სრულად ან ნაწილობრივ გაითვალისწინეს

IN 2018, POSITION OF BUSINESS OMBUDSMAN, WAS FULLY OR PARTLY CONSIDERED BY 65% AMONG COMPLETED CASES

ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოში ბიზნესომბუდსმენის მონაწილეობით განხილული საქმეების სტატისტიკა, 2018წელი

Statistics of Cases with the participation of the Office of the Business Ombudsman in the Council of Dispute of the Ministry of Finance, 2018



შენიშვნა / NOTE

2018 წელს დავების განხილვის საბჭოში დასრულებული საქმეების 85%-ში ბიზნესომბუდსმენის პოზიცია გათვალისწინებულია სრულად ან ნაწილობრივ გაითვალისწინეს

In 2018, Position of the Business Ombudsman was 85% considered among completed cases in the Council of Dispute

19 ბიზნესომბუდსმენის რეკომენდაცია 68%
10 მიმდინარე 53%
7 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 37%
1 სრულად დაკმაყოფილდა 5%
1 არ დაკმაყოფილდა 5%

5 ბიზნესომბუდსმენის შუამდგომლობა 18%
2 მიმდინარე 40%
2 სრულად დაკმაყოფილდა 40%
1 არ დაკმაყოფილდა 20%

4 ბიზნესომბუდსმენის დასკვნა 14%
2 სრულად დაკმაყოფილდა 50%
1 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 25%
1 არ დაკმაყოფილდა 25%

68% Recommendations of the Business Ombudsman 19
53% Ongoing 10
37% Partly Considered 7
5% Fully Considered 1
5% Rejected 1

18% Solicitations of the Business Ombudsman 5
40% Ongoing 2
40% Fully Considered 2
20% Rejected 1

14% Conclusions of the Business Ombudsman 4
50% Fully Considered 2
25% Partly Considered 1
25% Rejected 1

სახელმწიფო ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელ კომისიაში ბიზნესომბუდსმენის მონაწილეობით განხილული საქმეების 2018 წლის სტატისტიკა

Statistics of cases discussed by business ombudsman in the Commission for the Issues related to the State Property Disposal, 2018



ბიზნესომბუდსმენის მიერ 2018 წელს განხილული საქმეები მსოფლიო ბანკის კლასიფიკატორის მიხედვით

The cases discussed by the Business Ombudsman in accordance with the World Bank Classification, 2018



შენიშვნა / NOTE

სხვა საქმეები, რომლებიც არ მიეკუთვნება მოცემულ კატეგორიებს ➡ საინვესტიციო ვალდებულებების კორექტირება, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარიცხული საურავები & ჯარიმები

Other Conducts not falling in none categories listed above ➡ correction of investment liabilities, fines & penalties imposed by the administrative structures

96 უეცარი/თვითნებური მარეგულირებელი ცვლილებები 30%	30% Sudden/Arbitrary Regulatory Changes 96
6 კონტრაქტის გაუქმება 2%	2% Breach of Contract 6
1 ექსპროპრიაცია 1%	1% Expropriation 1
213 სხვა საქმეები რომლებიც არ მიეკუთვნება მოცემულ კატეგორიებს 67%	67% Other conduct not falling in none categories listed above 213

საქმიანობის შედეგი / Result of the Activity

მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით ბიზნესომბუდსმენის ოფისში 2018 წლის განმავლობაში შემოსული საქმეების მიხედვით რისკის ქვეშ დამდგარი ინვესტიციების ოდენობა 77,6 მლნ აშშ დოლარია. რაც 2018 წლის განმავლობაში ქვეყანაში შემოსულ მთლიან უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში 5-6% -ია.

Due to the methodology developed by the World Bank's International Finance Corporation (IFC) according to the cases received in the Office of Business Ombudsman during the year 2018, the capacity of the risky investments amounted 77,6 million USD. Number of the risky investments in respect of the total investment is within the range of 5-6%.

რისკის ქვეშ დამდგარი ინვესტიციის ოდენობა (USD)	**77 626 599**
Amount of the risky investments	
არსებული/განხორციელებული ინვესტიცია / Existing /implemented investment (USD)	56 123 826
დაგეგმილი ინვესტიცია / Planned investment (USD)	21 502 773
რისკის ქვეშ მყოფი დასაქმებულთა რაოდენობა	**3 208**
Number of employees at risk	
რისკის ქვეშ მყოფი დასაქმებულთა რაოდენობა / Number of current employees at risk	2 281
რისკის ქვეშ მყოფი დაგეგმილი დასაქმებულების რაოდენობა / Number of planned employees at risk	927

ადგილობრივი კომპანიები 58% Local companies

საერთაშორისო კომპანიები 42% International companies

საერთაშორისო თანამშრომლობა / International Cooperation

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტის გაძლიერების და მისი საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, დაიწყო სხვადასხვა პროექტების და ინიციატივების განხორციელება.

For the purpose of strengthening the Institute of Business Ombudsman of Georgia and increasing the efficiency of its activity, various projects and initiatives have been started together with the cooperation of the international organizations.

EU Delegation · OECD · WORLD BANK GROUP IFC International Finance Corporation · USAID FROM THE AMERICAN PEOPLE · Governing for Growth in Georgia

თანამშრომლობის მემორანდუმები / Memorandums of Cooperation

გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით 2018 წელს საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

In 2018, the Office of Business Ombudsman of Georgia for the purpose of experience sharing and enhancing the cooperation signed the Memorandum of Mutual Cooperation with various local and international organizations.

პოლონურ-ქართული სავაჭრო და სამრეწველო პალატა
Polish-Georgian Chamber of Commerce and Industry

საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ და პოლონურ-ქართული სავაჭრო და სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა მარჩინ რუტოვიჩმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმი წარმოადგენს მხარეებს შორის სხვადასხვა მიმართულებით ეფექტური თანამშრომლობის მექანიზმს.

Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze and Marchin Rutovich, the President of Polish-Georgian Chamber of Commerce and Industry, signed the Memorandum of Understanding. Memorandum represents the mechanism of efficient cooperation in different directions between the parties.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ნინო ჩიქოვანმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმი ითვალისწინებს რეგიონებში ერთობლივი შეხვედრებისა და საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების მოწყობას, აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო პალატა ხელს შეუწყობს რეგიონებში მოქმედ ბიზნესსუბიექტებსა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენს შორის მჭიდრო თანამშრომლობას.

Georgian Chamber of Commerce and Industry

Memorandum of Cooperation was signed between the Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze and Nino Chikovani- the President of Georgian Chamber of Commerce and Industry. Memorandum foresees arrangement of joint meetings and events of informational character in the regions, also the Chamber of Commerce and Industry will promote the close cooperation between the current business communities and Business Ombudsman of Georgia.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და საქართველოს ბიზნესომბუდსმენს შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ორმხრივ დოკუმენტს ხელი საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ და ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ მოაწერეს. მხარეები ინფორმაციის გაცვლის გზით მომავალ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

National Statistics Office of Georgia

Memorandum of Cooperation was signed between the National Statistics Office of Georgia and the Business Ombudsman of Georgia. Bilateral document was signed by Gogita Todradze - Executive Director of GeoStat and Business Ombudsman Irakli Lekvinadze. Parties have agreed for the future cooperation through exchange of the information.

საქართველოს კონკურენციის სააგენტო

ბიზნესის სამეწარმეო ინტერესების ერთობლივი დაცვის მიზნით საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ და საქართველოს კონკურენციის სააგენტოს დირექტორმა ნოდარ ხადურმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

Competition Agency of Georgia

Memorandum of Cooperation for the purpose of joint protection of business entrepreneurial interests was signed between the Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze and Nodar Khaduri -Chairman of Competition Agency of Georgia.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV)

საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ და გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მმართველი საბჭოს თავმჯდომარემ საშა ტერნესმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი, რომლის მიზანია მხარეებს შორის არსებული ურთიერთობების გაღრმავება და ასოციაციის წევრი კომპანიების ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობა.

German Business Association (DWV)

Memorandum of Cooperation was signed between the Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze and Sasha Ternes- Chairman of the German Business Association. The goal of memorandum is Deepening the current relations between the parties and the promotion of business activities of the member companies of association.

რეგიონული შეხვედრები

REGIONAL MEETINGS

საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატასთან, მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ პარტნიორობის ფარგლებში რეგიონებში ბიზნესის წარმომადგენლებთან ორ ეტაპად (2018 წლის აპრილსა და ნოემბერში) შეხვედრები გამართა. შეხვედრებზე საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ რეგიონული ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს ბიზნესომბუდსმენის ოფისის საქმიანობის ანგარიში და დაგეგმილი სიახლეები გააცნო.

Business Ombudsman of Georgia within the framework of partnership with Georgian Chamber of Commerce and Industry, International Finance Cooperation (IFC) of the World Bank's Group and the project of USAID "Management for Development" held meetings in two stages (in April and November of 2018) in Georgian regions. At the meetings, the Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze introduced to the representatives of regional business sector, the planned news and the report on the activities of the Office of Business



საერთაშორისო კონფერენციები და ფორუმები

INTERNATIONAL CONFERENCES AND FORUMS

2018 წელს საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა მონაწილეობა მიიღო საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ 20-მდე მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციასა და ფორუმში.

In 2018 Business Ombudsman of Georgia participated in up to 20 high-level international conferences and forums which were organized in Georgia and abroad.

მუსიად ექსპო 2018 / MUSIAD EXPO 2018

საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პატრონაჟით გამართულ ბიზნესფორუმში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებაზე ირაკლი ლექვინაძე დამოუკიდებელ თურქ მრეწველთა და ბიზნესმენთა ასოციაცია MUSIAD-ის მიერ სპეციალური სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული.

Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze took participation in the business forum held under the patronage of the President of the Turkish Republic. Irakli Lekvinadze was invited by the independent Turkish Industrialists and Businessmen Association MUSAID under the status of special guest.

კრინიცას ეკონომიკური ფორუმი ქალაქ თბილისში / Krynica Economic Forum in Tbilisi

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე კრინიცას ეკონომიკურ ფორუმზე, პანელზე „Doing Business in Georgia: Advantages and Disadvantages“, სიტყვით გამოვიდა. ფორუმს საქართველოს, სლოვაკეთისა და პოლონეთის პრეზიდენტები, ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრი და 300-მდე სტუმარი დაესწრო. ფორუმის მიზანია თავი მოუყაროს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ მაღალი რანგის პირებს და ხელი შეუწყოს ევროპასა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავებას.



Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze delivered speech at the economic forum, during the panel „Doing Business in Georgia: Advantages and Disadvantages. The forum was attended by the Presidentsof Georgia, Slovakia and Poland, also Prime Minister of Georgia and up to 300 guests. The goal of the forum is to bring together high-ranking individuals from different countries who are making economic and political decisions and also, the promotion of deepening the dialogue and cooperation between Europe and its partner countries.

საქართველო-იტალიის ბიზნეს ფორუმი / Georgia-Italy Business Forum

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე საქართველო-იტალიის ბიზნეს ფორუმს დაესწრო, რომელშიც 23 იტალიური და 120-ზე მეტი ქართული კომპანია იღებდა მონაწილეობას. ფორუმის მსვლელობისას განიხილეს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკის სფეროში რეგიონთაშორისო შესაძლებლობები და ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი.

Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze attended a Georgia-Italy Business forum, in which participated 23 Italian and more than 120 Georgian companies. During the forum there were discussed the following topical issues: transport infrastructure, inter-state capabilities between the regions and investment potential of the country.

კრინიცას ეკონომიკური ფორუმი / Krynica Economic Forum

საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა პოლონეთის ქალაქ კრინიცაში გამართულ ეკონომიკურ ფორუმზე, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ევროპასა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას.

Business Ombudsman of Georgia took participation in the economic forum and delivered speech, which was held in the city of Poland, Krynica. The goal of the forum was promotion of enhancing the cooperation between Europe and its partner countries and the implementation of joint economic projects.

ღია მმართველობის პარტნიორობის მე-5 გლობალური სამიტი
5th Open Government Partnership Global Summit (OGP)

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე ღია მმართველობის პარტნიორობის რიგით მე-5 გლობალური სამიტის პლენარული სესიის გახსნას დაესწრო. ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას საქართველო თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსით მასპინძლობდა. ეს პირველი შემთხვევაა,როდესაც საქართველო მაღალი რანგის საერთაშორისო პარტნიორობის ხელმძღვანელია, რომელიც მსოფლიოს 76 სახელმწიფოს აერთიანებს.

Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze attended the opening of the plenary session of 5th Open Government Partnership Global Sammit. This important event was hosted by Georgia as the head country. This is the first time, when Georgia is the head of the high-rank international partners which unites 76 States of the world.

საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების კონფერენცია
Georgia-China Economic Cooperation Development Conference

საქართველოსა და ჩინეთის ძიანგსის პროვინციას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მე-3 კონფერენცია გაიმართა. მისი მიზანი ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება და გამოცდილების გაზიარება იყო. კონფერენციას საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე და ბიზნესომუდსმენის მოადგილე ლევან კალანდაძე დაესწრნენ.

The 3rd Conference on Trade- Economic Cooperation was held between Georgia and the province of China- Dziangsi. Its aim was enhancing of cooperation between two countries, development of trade-economic relations and sharing of experience. The conference was attended by the Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze and the Deputy Business Ombudsman Levan Kalandadze.

გლობალური ბიზნესისა და ინვესტირების ფორუმი / Global Business & Investment Forum

საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ „საქმიან ქალთა გაერთიანებისა“ და “საქართველო და აზია-აფრიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის” ყოველწლიურ ღონისძიებაში, „გლობალური ბიზნესისა და ინვესტირების ფორუმში“ მიიღო მონაწილეობა და ფორუმის დელეგატებს სიტყვით მიმართა. ირაკლი ლექვინაძემ მონაწილეებს საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოსა და ბიზნესომბუდსმენის აპარატის საქმიანობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze participated in the annual event of “Business Women's Union” and "Georgia and Asia-Africa Chamber of Commerce and Industry on the “Forum of Global Business and Investment” and addressed the forum delegates. Irakli Lekvinadze updated the participants about the business environment in Georgia and the activities of the Business Ombudsman' Office.

არბიტრაჟის დღეები 2018 / Arbitration Days 2018

ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „არბიტრაჟის დღეები 2018” და დელეგატებს სიტყვით მიმართა. თბილისის „არბიტრაჟის დღეები“ საერთაშორისო არბიტრაჟის ყველაზე დიდი ყოველწლიური ფორუმია ჩვენს რეგიონში, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის გაცვლას და მონაწილე ქვეყნებს შორის პარტნიორობის გაღრმავებას.

Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze participated in the international conference “Arbitration Days 2018” and addressed the conference delegates. “Arbitration Days” of Tbilisi is the biggest annual forum of the international arbitration in our region, which aims sharing of the information and enhancing of the partnership of the participant countries.

სათამაშო ბიზნესის კონფერენცია / Gambling Business Conference

საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა ირაკლი ლექვინაძემ და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ მონაწილეობა მიიღეს სათამაშო ბიზნესის ასოციაციის ორგანიზებით გამართულ კონფერენციაში „სათამაშო ბიზნესის გამჭვირვალობის ამაღლება და ანგარიშგებათა სრულყოფა“. შეხვედრაზე განიხილეს სათამაშო ბიზნესის სექტორში დაგეგმილი ახალი რეგულაციები და ბიზნესომბუდსმენმა კონფერენციის მონაწილეებს გააცნო ის შენიშვნები, რომლებიც აპარატმა, ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით, შესაბამის უწყებებს გაუგზავნა.

Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze and Gogita Tidradze -Executive Director of National Statistics Office of Georgia, participated in the conference “Rising of Transparency of Gambling Business and Improvement of Reporting” organized by the Association of the Gambling Business . New regulations planned in the business sector were discussed on the meeting and the Business Ombudsman introduced to the participants of the conference notes related to the new regulations, which were sent to the relevant authorities by the Office.

შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებსა და უცხოელ ინვესტორებთან

MEETING WITH THE REPRESENTATIVES OF THE INTERNATIONAL ORGANIZATIONS, ACCREDITED DIPLOMATS AND FOREIGN INVESTORS IN GEORGIA

ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების, ინფორმაციის გაცვლისა და ინსტიტუციური მშენებლობის მიზნით საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებსა და უცხოელ ინვესტორებთან.

For the purpose of enhancing the mutual cooperation, exchanging information and institutional construction, the Office of Business Ombudsman of Georgia actively cooperates with various international organizations, diplomats and foreign investors accredited in Georgia.

შეხვედრა ჩინური კომპანიების წარმომადგენლებთან
Meeting with the Representatives of Chinees Companies

ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე საქართველოში ვიზიტით მყოფ ჩინური კომპანიების (Carmelton Company Limited, Onlen Fairyland (HK) Company Limited, Karibu Baby Limited, eCOM Asia Limited, China Effort Limited, Garland Company BV) წარმომადგენლებს შეხვდა. ბიზნესომბუდსმენმა სტუმრებს ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოსა და საინვესტიციო კლიმატზე მიაწოდა ინფორმაცია. ასევე ისაუბრეს საქართველოში ბიზნესომბუდსმენის ოფისის საქმიანობის შესახებ.

Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze has met the representatives of Chinees companies visiting Georgia (Carmelton Company Limited, Onlen Fairyland (HK) Company Limited, Karibu Baby Limited, eCOM Asia Limited, China Effort Limited, Garland Company BV). Business Ombudsman informed the guests about the business environment and investment climate existing in Georgia. Also, they talked about the activities of the Office of Business Ombudsman.

შეხვედრა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

Meeting with the Representatives of Diplomatic Corps Accredited in Georgia, International and Donor Organizations.

ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე ირაკლი ლექვინაძემ სტუმრებს ბიზნესომბუდსმენის აპარატის საქმიანობისა და მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

Business Ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze has met with the Representatives of Diplomatic Corps Accredited in Georgia, International and Donor Organizations. On the meeting Irakli Lekvinadze updated the guests about activities of the Office of Business Ombudsman and the current and future projects.

შეხვედრა ქუვეითის შეიხა ჰესა საად აბდულა ალ-საბაჰთან
Meeting with the Princess of Kuwait Sheikha HessaSaad al-Abdullah Al–Sabah

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე ქუვეითის პრინცესას, არაბ საქმიან ქალთა საბჭოს პრეზიდენტს - შეიხა ჰესა საად აბდულა ალ-საბაჰს შეხვდა. ბიზნესომბუდსმენმა ქუვეითის სამეფო ოჯახის წარმომადგენელს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში ბიზნესომბუდსმენის ოფისის საქმიანობის შესახებ. ასევე, ისაუბრეს ქვეყანაში არსებულ ბინზესგარემოსა და საინვესტიციო კლიმატზე.

Business ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze has met with Sheikha Hessa Saad al-Abdullah Al–Sabah the President of the Board of Arab Business Women. Business Ombudsman informed the representative of Kuwait Royal Family about the activities of the Office of Business Ombudsman in Georgia. Also, the parties discussed about the business environment and investment climate in the country.

შეხვედრა ლიეტუვის ვილნიუსის სავაჭრო პალატის წარმომადგენლებთან
Meeting with the Representatives of Lithuanian, Vilnius Chamber of Commerce

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე ლიეტუვის ვილნიუსის სავაჭრო პალატის პრეზიდენტს სიგიტას ვიოლანივუჩს და პალატის დელეგაციის წევრებს შეხვდა. საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა დელეგაციის წევრებს ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემოს შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს ლიეტუვური კომპანიების ბიზნეს საქმიანობის შესახებ საქართველოში და განიხილეს ბიზნესომბუდსმენის აპარატსა და ლიეტუვის ვილნიუსის სავაჭრო პალატას შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

Business ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze has met with Sigitas Leonavicius, the president of Lithuanian, Vilnius Chamber of Commerce and the members of Chamber delegation. The Georgian business ombudsman updated the delegation members about Georgia's business environment. At the meeting the parties had also discussed business activities of Lithuanian companies and future cooperation perspectives between the Business Ombudsman's Office and Vilnius Chamber of Commerce.

BUSINESS OMBUDSMAN
OF GEORGIA

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

შეხვედრა საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან
Meeting with Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of the Republic of Turkey in Georgia

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, მის აღმატებულება ფატმა ჯერენ იაზგანს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის ბიზნესკავშირების გაღრმავების მნიშვნელობასა და საქართველოში თურქული კომპანიების ბიზნესსაქმიანობაზე. მხარეებმა შეხვედრაზე დასახეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

Business ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze met with Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of the Republic of Turkey to Georgia Fatma Ceren Yazgan. At the meeting parties discussed about the importance of enhancing the business relations between two countries and the business activities of Turkish companies in Georgia. At the meeting parties planned perspectives of the future cooperation.

შეხვედრა საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელთან
Meeting with the Representative of the Embassy of France in Georgia

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე საფრანგეთის საელჩოს საქართველოში, ეკონომიკის სამსახურის უფროსს იულია სოტეს შეხვდა. შეხვედრაზე ისაუბრეს ფრანგული კომპანიების ბიზნეს საქმიანობის შესახებ საქართველოში და განიხილეს ბიზნესომბუდსმენის აპარტსა და საქართველო-საფრანგეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

Business ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze has met with Ioulia Sauthier, the Head of Economic Department at Embassy of France in Georgia. At the meeting the parties discussed about the business activities of French companies in Georgia and cooperation perspectives between the Georgian Business Ombudsman's Office and Georgia-France Chamber of Commerce and Industry.

BUSINESS OMBUDSMAN
OF GEORGIA

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

შეხვედრა გაეროს ეკონომიკურ ოფიცერთან
Meeting with the Economic Officer of United Nations

ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე საქართველოში ვიზიტით მყოფ გაეროს ეკონომიკურ ოფიცერს ნამსიკ კიმს შეხვდა. ირაკლი ლექვინაძემ გაეროს წარმომადგენელს ბიზნეოსმბუდსმენის ოფისის საქმიანობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და აპარატის სამომავლო გეგმები გააცნო. შეხვედრაზე ისაუბრეს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებსა და პროექტებზე.

Business ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze has met with Namsuk Kim United Nations Economic Officer who was on a visit. Irakli Lekvenadze informed the representative of UN about the activities of Georgian Business Ombudsman's Office and introduced him the future plans of the Office. At the meeting parties discussed about the programs and projects planned within the framework of UN Sustainable Development Goals (SDGs).

შეხვედრა საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან
Meeting with Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Ukraine to Georgia

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, მის აღმატებულება იგორ დოლგოვს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის ბიზნესკავშირების გაღრმავების მნიშვნელობასა და საქართველოში უკრაინული კომპანიების ბიზნესსაქმიანობაზე.

Business ombudsman of Georgia Irakli Lekvinadze met with Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of the Republic of Ukraine to Georgia Igor Dolgov. At the meeting parties discussed about the importance of deepening the business relations between two countries and business activities of Ukrainian companies in Georgia.

შეხვედრა პოლონეთის ინვესტიციებისა და ვაჭრობის სააგენტოს წარმომადგენელთან
Meeting with the Representatives of Polish Investment and Trade Agency

გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა პოლონეთის ინვესტიციებისა და ვაჭრობის სააგენტოს თბილისის ბიუროს ხელმძღვანელთან კაროლინა ზარებასთან. ირაკლი ლექვინაძემ სტუმრებს ბიზნესომბუდსმენის საქამიანობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და იმ მექანიზმების შესახებ ესაუბრა, რომლებითაც აპარატი, საჭირეობის შემთხვევაში, პოლონელ ბიზნესმენებს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში დაეხმარება. შეხვედრაზე მხარეები მომავალში თანამშრომლობის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ და სამომავლო პერსპექტივები დასახეს.

The introductory meeting was held with Karolina Zareba, Chief of Tbilisi Bureau of Polish Investment and Trade Agency. Irakli Lekvinadze updated the guests about the activities of business ombudsman and talked about the mechanisms which, in case of necessity will support Polish Businessmen in the process of implementing the business entrepreneurial activities in Georgia. At the meeting parties agreed to continue the future cooperation and they planned the further perspectives.

შეხვედრები ბიზნესსექტორთან / MEETINGS WITH BUSINESS SECTOR REPRESENTETIVES

ბიზნესსექტორში არსებული პრობლემების და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის გაცვლის, შესწავლის და შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი პერიოდულ შეხვედრას ატარებს კერძო სექტორის და დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლებთან. აღნიშნული მიმართულებით 2018 წელს 1008 შეხვედრა გაიმართა. მათ შორის 40-მდე შემდეგ ორგანიზაციებთან:

The Office of Business Ombudsman of Georgia holds the periodical meetings with the private sectors and representatives of sectoral associations for the purpose of ensuring exchange, study and making relevant react on the information about existing problems and challenges. In 2018, 1008 meetings were held in the mentioned directions. Including up to 40 meetings with the following organizations:

- საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
- ევროპული ბიზნესასოციაცია
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
- ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში
- საქართველო-შვეიცარიის ბიზნესასოციაცია
- ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
- გადასახადის გადამხდელთა კავშირი
- საქართველოს მწარმოებელთა ფედერაცია
- დისტრიბუტორების ბიზნეს ასოციაცია
- ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია
- სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიების ასოციაცია
- სასტუმრო და სარესტორნო ფედერაცია
- საკონსულტაციო და იურიდიული კომპანიები
- შავი და ფერადი ლითონების ასოციაცია
- მიკროსაფინანსო და ონლაინ სესხების კომპანიები
- სათამაშო ბიზნესის ასოციაცია
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- საქმიან ქალთა გაერთიანება
- ფერმერთა ასოციაცია
- ექსპორტიორთა ასოციაცია

- Business Association of Georgia
- Georgian Chamber of Commerce and Industry
- European Business Association
- Georgia Employers' Association
- American Chamber of Commerce in Georgia
- Georgian Swiss Business Association
- Georgian and Turkish Businessmen's Association
- Tax Payers Union
- Georgia Association of Manufacturers
- Georgian Distributors Business Association
- Infrastructure Contractors Association
- Leasing and Insurance Companies Association
- Hotel and Restaurant Federation
- Consultancy and Legal Companies
- Black and coloured Metals Association
- Microfinance and online loan companies
- Gambling Business Association
- Non-governmental Organizations
- Business Women's Association
- Farmers Association
- Exporters Association

ბიზნესსექტორის წარმომადგენლების მიერ დასმული 2019 წლის Top 5 გამოწვევა

TOP 5 CHALLENGES OF THE 2019, IDENTIFIED BY BUSINESS SECTOR REPRESENTATIVE

მოქნილი სასამართლო სისტემა ბიზნესდავების ეფექტურად გადასაწყვეტად	1	Flexible judicial system for the effective solution of business disputes
ბიუროკრატია საჯარო სექტორის საშუალო რგოლში	2	Bureaucracy in the middle circles of the Public Sector
ბიზნესის შესაძლებლობების ადეკვატური და პროპორციული რეგულაციები	3	Adequate and proportional regulations of the business opportunities
სამუშაო ძალის კვალიფიკაცია	4	Qualification of the workforce
კაპიტალის ბაზრის განვითარება	5	Development of capital market

BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA

საქართველოს

ბიზნესომბუდსმენი

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ დაიწყო ზემოაღნიშნული პრობლემების შესწავლა და მათ ნაწილზე შესაბამისი უწყებების მისამართით გაიცა რეკომენდაციები

THE OFFICE OF BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA STUDIED THE ABOVE-MENTIONED CASES AND ADDRESSED RELEVANT ENTITIES WITH RECOMMENDATIONS

მაგალითი N1: რეგულაციები თამბაქოს კონტროლის შესახებ

მოპასუხე უწყება: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მოკლე აღწერა:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართა თამბაქოს იმპორტიორმა და დისტრიბუტორმა კომპანიებმა, რომლებიც თვლიდნენ, რომ:

- ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქციზის გადასახადის ზრდის პროცესი განისაზღვროს 13 წლიანი გეგმის მიხედვით, ნაცვლად საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი 8 წლისა, ასევე წინასწარ იყოს ცნობილი აქციზის ზრდის გრძელვადიანი სტრატეგია.
- საქართველოში იმპორტირებული და ბაზარზე განთავსებული თამბაქოს პროდუქტის შეფუთვასთან დაკავშირებული რეგულაციები 2018 წლის 1 სექტემბერის ნაცვლად ამოქმედებულიყო 2019 წლის 1 იანვრიდან, რათა მოეხდინათ ქსელში ძველი შეფუთვით არსებული მარაგების რეალიზაცია.
- ახალი რეგულაციით თამბაქოს მოწევა ნებადართულია იმ სათამაშო აპარატების სალონში, რომლის მოწყობის ნებართვისათვის დადგენილია სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთი არანაკლებ 200 000 ლარის ოდენობით და რომელშიც განთავსებულია არანაკლებ 20 სათამაშო აპარატი. აღნიშნული ჩანაწერი დისკრიმინაციულია და აგვარებს მხოლოდ იმ ოპერატორების პრობლემას, რომლებსაც აქვთ სათამაშო აპარატების სალონი და აკმაყოფილებენ ამ პირობას.
- თამბაქოს ნაწარმის და აქსესუარების სურსათის პროდუქტებთან ერთად გაყიდვის აკრძალვა არ არის მიზანშეწონილი და სათანადოდ დასაბუთებული. ასევე გასათვალისწინებელია ისეთი პატარა სავაჭრო ობიექტების (ჯიხურების) ბედი, სადაც საკვები პროდუქტი და თამბაქოს ნაწარმი განთავსებულია ერთ მთლიან სივრცეში.

CASE N1: REGULATIONS ON TOBACCO CONTROL

RESPODENT ENTITY: PARLIAMENT OF GEORGIA, MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA

SHORT DESCRIPTION:

The office of Business Ombudsman of Georgia was approached by tobacco importer and distributor companies requesting the following

- The process of the excise tax increase envisaged by the Association Agreement with the European Union to be determined by a 13-year plan instead of 8 year-plan envisaged by the Government of Georgia, in addition to this the long-term strategy of rising excise to be predetermined.
- Regulations regarding the packaging of tobacco products imported and marketed in Georgia, to enter in force from January 1, 2019 instead of September 1, 2018 in order to enable selling out the existing stockpiles of old packets.
- Tobacco smoking under new regulation is allowed in the gambling areas for which the permit fee is set at no less than 200,000 GEL and where no less than 20 gambling machines are available. This statement is discriminatory and solves only the problem of those operators who have big gambling areas and meet this requirement.
- Prohibition of sale of tobacco products and accessories together with food products is not feasible and reasonable. Also, the case of small shopping facilities (booths), where food products and tobacco products are located in a single area needs to be taken into consideration.

BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი

- გათვალისწინებით იმისა, რომ საქონელი, რომელიც იყიდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში (Duty Free) განკუთვნილია საქართველოს ტერიტორიის გარეთ გასატანად, გონივრულია, რომ ამ პუნქტებში განთავსებული თამბაქოს ნაწარმი ჩაითვალოს გამონაკლისად და შეფუთვაზე სავალდებულო გაფრთხილების წარწერა დაშვებული იქნეს ინგლისურ ენაზე და გამოყენებული იქნეს ევროკავშირში მიღებული პიქტოგრამები.
- ელექტრონული სიგარეტი და თამბაქოს ახალი ნაწარმი არ უნდა განიმარტებოდეს როგორც თამბაქოს ნაწარმი, ვინაიდან ისინი სრულიად ახალი პროდუქტებია, შესაბამისად, საქიროებს სხვაგვარ განმარტებასა და რეგულირებას.

გაცემული რეკომენდაცია:

საკითხის შესწავლით და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა საქართველოს პარლამენტს მიმართა რეკომენდაციით, რომ თამბაქოს ახალი შეფუთვით რეალიზაციის წესების დარღვევის გამო დაჯარიმების წესი ძალაში შევიდეს 2019 წლის იანვარში, ნაცვლად 2018 წლის 1 სექტემბრისა, რათა კომპანიებს მიეცეთ საკმარისი დრო, რომ მოახდინონ ძველი შეფუთვით იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაცია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს პარლამენტს მიეცა რეკომენდაცია, რომ თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებული იქნეს დარგში მომუშავე კომპანიების ინტერესები, რათა დაცული იყოს თამბაქოს ბაზარი და უზრუნველყოფილი იქნეს სტაბილური საბიუჯეტო შემოსავლები. ბიზნესომბუდსმენმა მიმართა საქართველოს პარლამენტს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში თამბაქოს ახალ ნაწარმზე და ელექტრონულ სიგარეტზე განსხვავებული რეგულირების შემოღების აუცილებლობაზე. ასევე, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში (Duty Free) სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს პროდუქტის პიქტოგრამის დატანის გამონაკლისისა და სამედიცინო გაფრთხილების ინგლისურ ენაზე დაშვების შესახებ. და ბოლოს, ბიზნესომბუდსმენის აპარატს მიაჩნია, რომ შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები უსაფუძვლოდ ზღუდავს ტოტალიზატორების, აზარტული კლუბების და სათამაშო აპარატების სალონების მომწყობი მეწარმე სუბიექტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. საქართველოს ბიზნესასოციაციასთან ერთად საქართველოს პარლამენტში გაგზავნილი იქნა თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონში ცვლილებები, რომლებიც გულისხმობს ელექტრონული სიგარეტის და თამბაქოს ახალი ნაწარმის განსხვავებულ რეგულაციას.

- Considering that the goods sold in the Free Trade Area (Duty Free) are considered as goods that can be taking outside from the territory of Georgia, it is reasonable that the tobacco products placed in these areas be considered as exceptions and the compulsory warning on the packaging should be allowed in English and pictograms can be applied based on the European Union.
- Electronic cigarettes and new tobacco products should not be interpreted as tobacco products, since they are completely new products, therefore require different definition and regulations.

ISSUED RECOMMENDATION:

Through the study of the issue and stakeholder engagement, the Office of Business Ombudsman of Georgia presented recommendations to the Parliament of Georgia requesting that violation of the regulations for new packaging for the realization of tobacco come into force in January 2019, instead of September 2018, in order to give proper time to companies to sell out the products imported in the old packaging. The Ministry of Finance of Georgia and the Parliament of Georgia have been recommended to take into consideration the interests of companies working in this field in the process of determining excise on tobacco products to protect the tobacco market and ensure stable budgetary revenues. The Business Ombudsman addressed the Parliament of Georgia on the need for introduction of different regulations on new tobacco products and electronic cigarettes in the Georgian Law on Tobacco Control. Also, the exception for the pictograms on the tobacco products for sale in free trade areas (Duty Free) and permit for medical waring on packaging in English. Finally, the Office of Business Ombudsman believes that the proposed legislative amendments restrict the rights and legitimate interests of entrepreneurs in the gambling, slot clubs and gambling machine salons. Through collaboration with Business Association of Georgia, the Parliament of Georgia has been provided with amendments in the Law on Tobacco Control, which implies different regulation of electronic cigarette and new tobacco products.

BUSINESS OMBUDSMAN
OF GEORGIA

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

შედეგი:

საქართველოს პარლამენტმა ნაწილობრივ გაითვალისწინა საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის რეკომენდაცია სიგარეტის ახალი შეფუთვით რეალიზაციასთან დაკავშირებული რეგულაციის გადავადების შესახებ და რეგულაცია ამოქმედდა 2019 წლის იანვრიდან, ნაცვლად დაგეგმილი 2018 წლის 1 სექტემბრისა. ასევე, გაითვალისწინეს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში (Duty Free) სარეალიზაციოდ განკუთვნილ თამბაქოს პროდუქტზე სამედიცინო გაფრთხილების ინგლისურ ენაზე და ევროკავშირში მიღებული პიქტოგრამების გამოყენების დაშვების რეკომენდაცია. გამოქვეყნებული იქნება აქციზის ზრდის გრძელვადიანი სტრატეგია. გაიმართა შეხვედრები სსიპ შემოსავლების სამსახურის და თბილისის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელობასთან.

RESULT:

The Parliament of Georgia partially considered the recommendation of the Office of Business Ombudsman of Georgia to postpone the regulation of the new packaging of cigarette and the regulation was launched in January 2019 instead of September 1, 2018. Also, the recommendation for the use of medical warning in the English language and the use of the pictograms adopted in the European Union for Tobacco Products for Selling at Free Trade Market (Duty Free) have been taken into consideration. The long-term strategy of excise increases will be published. Meetings were held with LEPL Revenue Service and Tbilisi Municipal Inspection.nd new tobacco products.

BUSINESS OMBUDSMAN
OF GEORGIA

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

მაგალითი N2: კერძო დაცვით საქმიანობასთან დაკავშირებით

მოპასუხე უწყება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

მოკლე აღწერა:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართა კერძო დაცვითი საქმიანობის ასოციაციამ და წარმოადგინა მოსაზრებები აღნიშნული სფეროს რეგულირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, კანონმდებლობის თანახმად დაცვით საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რომელიც პარალელურად თავადაც ახორციელებს იმავე საქმიანობას ბაზარზე. რაც ასოციაციის მოსაზრებით ხელს უშლის კერძო დაცვითი ბიზნესისთვის კონკურენტული გარემოს განვითარებას. რეკომენდაციის შემუშავების მიზნით, დაინტერესებულ მხარეების ჩართულობით ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ შედგა შესაბამისი განხილვები და კონსულტაციები.

CASE N 2: ON THE PRIVATE SECURITY ACTIVITIES

RESPODENT ENTITY: MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

SHORT DESCRIPTION:

Private Security Partnership Association turned to the Office of the Business Ombudsman and presented the opinions on regulation of the above-mentioned field. In particular, according to the law, the LEPL Security Police Department controls the activities of the security observance, who, in parallel, performs the same activities on the market. Which, in the opinion of the Association, prevents the development of a competitive environment for private security business. In order to elaborate recommendations of the Business Ombudsman, relevant discussions and consultations were organized by Business Ombudsman's Office with the engagement of stakeholders.

გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა რეკომენდაცია მისცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ განხორციელდეს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის რეფორმირება. კერძოდ, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს აღნიშნული სამსახურის საქმიანობის ორი მიმართულება - დაცვითი საქმიანობა და კერძო დაცვითი საქმიანობის ზედამხედველობა. დეპარტამენტმა უზრუნველყოს დაცვითი მომსახურების გაწევა, ხოლო ზედამხედველობის ფუნქცია გადაეცეს შსს სისტემაში მოქმედ დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. აღნიშნული რეფორმა ხელს შეუწყობს დარგში კონკურენციის და მომსახურების ხარისხის განვითარებას.

ISSUED RECOMMENDATION:

The Office of Business Ombudsman of Georgia recommended the Ministry of Internal Affairs of Georgia to implement the Reform of the Security Police Department. In particular, to separate the two directions of the activity of this service - the security activities and the supervision of private security activities. The Department shall provide protection services, but function of supervision to be under the independent structural unit operating in the Ministry of Internal Affairs system. This reform will promote the development of competition and service quality in the field.

შედეგი:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ნორმა, რომლის მიხედვით სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტი“ ახორციელებდა როგორც კერძო დაცვით საქმიანობას, აგრეთვე დარგში მომუშავე კომპანიების ზედამხედველობას.

RESULT:

By the decision of the Constitutional Court of Georgia, the norm was declared unconstitutional, according to which the LEPL "Security Police Department" carried out private security activities and supervision of companies working in the field

მაგალითი N3: მოგების გადასახადის ახალი მოდელის სადაზღვევო ორგანიზაციებზე გავრცელებასთან დაკავშირებით

მოპასუხე უწყება: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მოკლე აღწერა:

ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართა სადაზღვევო სფეროში მომუშავე კომპანიებმა, რომლებმაც საქართველოს მთავრობის მიერ საგადასახადო კოდექსში ინიცირებული ცვლილების შესახებ შენიშვნები წარმოადგინეს. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, საფინანსო სექტორში მოქმედი ორგანიზაციებისთვის მოგების გადასახადის ახალ მოდელზე (ე.წ. ესტონურ მოდელზე) გადასვლის თარიღი განისაზღვრა 2023 წლის 1 იანვარი, ნაცვლად 2019 წლის 1 იანვრისა. კომპანიების განცხადებით, სადაზღვევო სექტორის მოგება იმდენად მცირეა, რომ დარგი ვერ ახერხებს განვითარებას, რის გამოც თვლიან, რომ დაბეგვრის რეჟიმის თვალსაზრისით სადაზღვევო ინდუსტრიის გათანაბრება საფინანსო სექტორის სხვა დარგებთან მიზანშეუწონელია.

CASE N 3: ON THE NEW MODEL OF PROFIT TAX ON INSURANCE COMPANIES

RESPODENT ENTITY: PARLIAMENT OF GEORGIA, MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA

SHORT DESCRIPTION:

The Office of Business Ombudsman of Georgia was addressed by the companies working in the insurance sector who presented remarks about the amendment initiated by the Government of Georgian in the Tax Code. According to the amendments, the date of transfer to the new model of profit tax (for the so-called Estonian model) for the financial sector organizations was determined to be January 1, 2023 instead of January 1, 2019. According to the companies, the profit of the insurance sector is so small that the sector is unable to develop, considering that equalizing the insurance industry with other financial sectors regarding taxation regime is inconsistent.

გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა გაიზიარა სადაზღვევო ორგანიზაციების პოზიცია და შესაბამისად საქართველოს პარლამენტს მიეცა რეკომენდაცია, რომ სადაზღვევო ინდუსტრია მოგების გადასახადის ე.წ. ესტონურ მოდელზე გადავიდეს 2019 წლის 1 იანვრიდან, ნაცვლად საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებით შეთავაზებული 2023 წლის 1 იანვრისა.

ISSUED RECOMMENDATION:

The Office of Business Ombudsman of Georgia agreed with the insurance organizations and therefore the Parliament of Georgia was recommended to transfer the insurance industry to the so-called Estonian Model of profit tax from January 1, 2019 instead of January 1, 2023, as proposed by the Government of Georgia.

შედეგი:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული.

RESULT:

The recommendation of the Office of Business Ombudsman of Georgia was left without consideration.

მაგალითი N4: ტურიზმის სფეროში მომუშავე კომპანიებისთვის შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებით

CASE N 4: ON THE PRIVILEGES FOR THE COMPANIES WORKING IN TOURISM SECTOR

მოპასუხე უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

RESPODENT ENTITY: MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA

მოკლე აღწერა:

მაღალმთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარების მიზნით ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართა საქართველოს სასტუმრო და სარესტორნო ფედერაციამ. ორგანიზაცია ითხოვს რეგიონებში მოქმედი ტურისტული მომსახურების ობიექტებისთვის სხვადასხვა საგადასახადო შეღავათის დაწესებას. დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ბიზნესომბუდსმენის აპარატმა შეიმუშავა რეკომენდაციები. აგრეთვე, განმცხადებლის ინფორმაციით, საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი ზომის კვებისა და განთავსების ობიექტში, ჭურჭლის დაზიანების შემთხვევაში, ობიექტის მფლობელი ვალდებულია, შეინახოს დაზიანებული ჭურჭელი და საგადასახადო ორგანოს ვიზიტის შემდეგ ჩამოწეროს აღნიშნული ნივთები. ვინაიდან ჩამოსაწერი ნივთების მოგროვების და შენახვის ვალდებულება გარკვეულწილად აფერხებს ობიექტების საქმიანობას, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ საგადასახადო ორგანოს მიერ მათი ჩამოწერის დადასტურება მოხდეს ადგილზე გაუსვლელად ელექტრონული ფორმით და ობიექტები გათავისუფლდნენ დაზიანებული ნივთების შენახვის ვალდებულებისგან.

SHORT DESCRIPTION:

The Hotel and Restaurant Federation of Georgia addressed the Office of Business Ombudsman of Georgia aiming to promote tourism in high mountainous regions. The organization is requesting different tax benefits for tourism services operating in the regions. The Office of Business Ombudsman of Georgia has developed recommendations with the involvement of stakeholders. Also, according to the applicant's information, in the case of utensil damage at any hotel or restaurant of any size, in accordance with the tax legislation, the owner of the facility is obliged to keep the damaged utensil and discard the items after the tax authority's visit. Since the obligation to collect and store items that need to be liquidated obstructs the activities of the facility, the applicant believes that the tax authority may confirm their liquidation process electronically and the facilities to be exempt from the obligation of storing the damaged items.

გაცემული რეკომენდაცია:

ბიზნესომბუდსმენის აპარატმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომ განხორციელდეს ცვლილება საგადასახადო კოდექსში და მაღალმთიან რეგიონებში მოქმედი ტურისტული მომსახურების ობიექტებისთვის დაწესდეს სხვადასხვა საგადასახადო შეღავათი. აგრეთვე, დაზიანებული ქურქლის ჩამოწერა განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, ადგილზე გაუსვლელად.

ISSUED RECOMMENDATION:

The Office of Business Ombudsman of Georgia addressed the Ministry of Finance of Georgia with a recommendation to make a change in the Tax Code and set up various tax benefits for the tourist services operating in the mountainous regions. Also, discard of the damaged utensil to be allowed electronically, without leaving the place.

შედეგი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ნაწილობრივ გაიზიარა ბიზნესომბუდსმენის აპარატის რეკომენდაციები. კერძოდ, გამარტივდა დაზიანებული ქურქლის ჩამოწერის პროცედურა.

RESULT:

The Ministry of Finance of Georgia partially agreed with recommendations of the Office of Business Ombudsman of Georgia. Namely, the procedure for the damaged utensil discard was simplified.

მაგალითი N5: კომპანია „აგარის შაქრის“ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

CASE N5: ABOUT THE OPERATION OF "AGARIS SHAKARI" COMPANY

მოპასუხე უწყება: საქართველოს მთავრობა

RESPODENT ENTITY: GOVERNMENT OF GEORGIA

მოკლე აღწერა:

ბიზნესომბუდსმენის აპარატმა განიხილა შპს „აგარის შაქარში“ შექმნილი მდგომარეობის და დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის საქიროების შესახებ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების განცხადება. ორგანიზაციის ინფორმაციით, შპს „აგარის შაქარი“ წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოს, თუმცა საქართველოში იმპორტის გადასახადის გარეშე შემოტანილი შაქრის დაბალი ფასის გამო, კომპანიას წელიწადში სულ მცირე ორჯერ უწევს წარმოების გაჩერება, რაც უარყოფითად აისახება საწარმოში დასაქმებული 500 თანამშრომლის ფინანსურ მდგომარეობაზე. პროფესიული კავშირების გაერთიანება ითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა საწარმომ შეძლოს უწყვეტი ფუნქციონირება.

SHORT DESCRIPTION:

The Office of Business Ombudsman of Georgia examined the statement of the Union of Professional Network of Georgia about the state of employment of Ltd "Agara Shakari" and the need for protecting labor rights of employees. According to the organization, "Agara Shakari Ltd" is one of the largest enterprises, but due to the low price of sugar imported without import tax in Georgia, the company has to stop producing at least twice a year, which negatively impacts the financial condition of 500 employees employed in the enterprise. The Union of Professional Network demands that the Government of Georgia take appropriate measures to enable the enterprise to operate continuously.

გაცემული რეკომენდაცია და შედეგი:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი და საქართველოს მთავრობასთან ერთად შეიმუშავა კონკრეტული სამოქმედო გეგმა და მექანიზმები, რისი საშუალებითაც შპს „აგარის შაქარმა“ შეძლო ფუნქციონირების გაგრძელება.

ISSUED RECOMMENDATION AND RESULTS:

The Office of Business Ombudsman of Georgia studied the case and developed a specific action plan and mechanisms, together with the Government of Georgia, which allowed the company "Agaris Shakari" to continue functioning.

მაგალითი N6: კომპანია „ბადაგონის“ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

მოპასუხე უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

მოკლე აღწერა:

2018 წლის თებერვლის თვეში ღვინის მწარმოებელ კომპანია "ბადაგონში" ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შევიდა. უწყებამ გამოძიება "ბადაგონის" ყოფილი მეწილის განცხადების საფუძველზე დაიწყო. საქმეზე სრულყოფილი გამოძიების ჩატარების მიზნით, შპს "ბადაგონის" ოფისში მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედებები, რომლებმაც რამდენიმე დღით შეაფერხა კომპანიის ფუნქციონირება.

CASE N6: ABOUT THE OPERATION OF COMPANY "BADAGONI"

RESPODENT ENTITY: INVESTIGATION SERVICE OF THE MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA

SHORT DESCRIPTION:

In February 2018, Investigation Service of the Ministry of Finance entered in the "Badagoni" wine company. The investigation began on the basis of the statement of former stake holder of Badagoni. In order to conduct a thorough investigation of the case, investigative activities were conducted in the office of Badagoni Ltd, which delayed the functioning of the company for several days.

გაცემული რეკომენდაცია და შედეგი:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეისწავლა აღნიშნული საკითხი და საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით შემუშავდა კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც კომპანიამ შეძლო ფუნქციონირების განახლება და მათი მოთხოვნის შესაბამისად, საქმეზე დავამ გადაინაცვლა სასამართლოში.

ISSUED RECOMMENDATION AND RESULTS:

The Office of the Business Ombudsman of Georgia studied the issue with the participation of stakeholders and developed a specific action plan in cooperation with the Government of Georgia, through which the company has been able to renew its functionality, and based on their request, the dispute on the cased was transferred to the court.

მაგალითი N7: „ომეგა ჯგუფის“ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით

მოპასუხე უწყება: სსიპ შემოსავლების სამსახური

მოკლე აღწერა:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართა „ომეგა ჯგუფში“ შემავალმა კომპანიამ აქციზური მარკების მოთხოვნით და საგადასახადო დავალიანების შესრულებასთან დაკავშირებით.
როგორც განცხადებაშია აღნიშნული, შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამომდინარე კომპანიას არ შეეძლო სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არსებული საგადასახადო დავალიანების ერთიანად გადახდა და წარმოდგენილი იქნა კონკრეტული წინადადება (გრაფიკი), რომლის შესაბამისადაც დაფარავდა აღიარებულ დავალიანებას.
აგრეთვე, აქციზური მარკების უქონლობის გამო კომპანია პროდუქციის წარმოებას ვერ ახერხებდა, რასაც შეეძლო უფრო მეტად დაემძიმებინა არსებული ფინანსური პრობლემები.

CASE N7: ABOUT THE OPERATION OF "OMEGA GROUP"

RESPODENT ENTITY: LEPL REVENUE SERVICE

SHORT DESCRIPTION:

The Office of the Business Ombudsman of Georgia was addressed by the Omega Group company on requesting excise stamps and on the completion of tax liabilities.
As stated in the statement, due to the crisis, the company could not cover all the tax bills fully to the state budget and the company presented concrete proposal (timeframe) through which it would cover the recognized debts.
Also, due to lack of excise stamps, the company was unable to produce products that could further aggravate existing financial problems.

გაცემული რეკომენდაცია და შედეგი:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი დაეთანხმა „ომეგა ჯგუფის“ არგუმენტებს და 2018 წლის 23 აგვისტოს სსიპ შემოსავლების სამსახურს მიეცა რეკომენდაცია, რომ უწყვეტი ფუნქციონირების გაგრძელების მიზნით, გაზიარებული იქნეს აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინადადებები. შედეგად, კომპანიას ორჯერ (2018 წლის ოქტომბერსა და დეკემბერში) მიეცა საშუალება, მიეღო აქციზური მარკები და განეახლებინა წარმოების პროცესი.

ISSUED RECOMMENDATION AND RESULTS

The Office of the Business Ombudsman of Georgia agreed with the Omega Group's arguments and on August 23, 2018, the Revenue Service was recommended to take into consideration presented proposal submitted by the company to continue the operation. As a result, the company was given a chance twice (in October and December 2018) to get excise stamps and renew the manufacturing process.

მაგალითი N8: ცემენტის ნედლეულის (კლინკერის) იმპორტის საკითხთან დაკავშირებით

CASE N8: ON THE IMPORT OF CEMENT RAW MATERIAL (CLINKER)

მოპასუხე უწყება: სსიპ შემოსავლების სამსახური

RESPODENT ENTITY: LEPL REVENUE SERVICE

მოკლე აღწერა:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართეს ცემენტის ნედლეულის იმპორტიორმა კომპანიებმა, რომელთა განცხადებით ბოლო პერიოდში აღნიშნული საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის დროს გამკაცრებულმა ტვირთის შემოწმების პროცედურებმა შეაფერხა კომპანიების საქმიანობა და მათი გამართული ფუნქციონირება.

SHORT DESCRIPTION:

The Office of the Business Ombudsman of Georgia was addressed by the Cement Raw Materials importing companies, which stated that the cargo inspection procedures during the transaction in the importation of goods delayed the company's activities and their functioning.

გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეისწავლა აღნიშნული საკითხი და გაიზიარა კომპანიების მიერ დასმული პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, სსიპ შემოსავლების სამსახურს მიეცა რეკომენდაცია, რომ მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში მომხდარიყო ზემოაღნიშნული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რათა კომპანიები დაბრუნებოდნენ საქმიანობის ჩვეულ რიტმს.

ISSUED RECOMMENDATION:

The Office of the Business Ombudsman of Georgia studied this issue together with the stakeholder and agreed on the necessity of solving the problem posed by the companies. Therefore, the LEPL Revenue Service was recommended to place the above-mentioned goods in free circulation in the lowest time period possible, in order to ensure that companies return to the usual rhythm of activities.

შედეგი:

სსიპ შემოსავლების სამსახურმა დააკმაყოფილა ბიზნესომბუდსმენის აპარატის რეკომენდაცია და ზემოაღნიშნულ კომპანიებს მიეცათ შესაძლებლობა ჩვეულ რეჟიმში გაეგრძელებინათ საქმიანობა.

RESULT:

The Revenue Service approved the recommendation of the Office of the Business Ombudsman of Georgia and the above-mentioned companies were able to continue their operation in the usual way.

მაგალითი N9: ახალ საბანკო რეგულაციებთან დაკავშირებით

მოპასუხე უწყება: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოკლე აღწერა:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართეს საქართველოს საბანკო ასოციაციამ, საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციამ, საქართველოს სალიზინგო კომპანიების ასოციაციამ, საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ და არასაბანკო ფინანსური სექტორის წარმომადგენლებმა, საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ დაგეგმილ და ინიცირებულ რეგულაციებთან დაკავშირებით. განმცხადებლები მიიჩნევდნენ, რომ პროექტი კომპლექსურად ცვლის საკრედიტო მიდგომებს ბაზარზე და მასში აღნიშნული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს საბანკო სექტორში საკრედიტო პორტფელის შემდგომი ნორმალური ზრდის ტემპის შენარჩუნებას. აგრეთვე რეფორმა არსებით გავლენას მოახდენდა საფინანსო-საკრედიტო მომსახურებით დაკავებული კომპანიების მდგომარეობაზე.

CASE N9: ON PLANNED REFORM OF THE NEW BANK REGULATIONS

RESPODENT ENTITY: THE NATIONAL BANK OF GEORGIA

SHORT DESCRIPTION:

Georgian Banking Association, Microfinance Association of Georgia, Association of Georgian Leasing Companies, Georgian Business Association and Non-Banking Financial Sector have addressed the Office of Business Ombudsman of Georgia with regard to the planned and initiated regulations of the National Bank of Georgia. The applicants assumed that the project changes the credit approaches on the market and the amendments made in it fail to maintain the normal growth rate of the credit portfolio in the banking sector. Also, the reform will have a substantial impact on the situation of companies engaged in financial-credit services.

გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ დაფიქსირებულ პოზიციაში აღნიშნული იყო, რომ ეროვნული ბანკის მიერ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის უმტკივნეულოდ განხორციელებას. კომპანიები შეძლებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, თავიდან აიცილებენ მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს და ხელი არ შეეშლებათ საქმიანობისას. აგრეთვე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და კონსულტაციების შედეგად ბიზნესომბუდსმენის აპარატი მიზანშეწონილად მიიჩნევდა, რომ ზემოაღნიშნული რეგულაციები 2018 წლის ნოემბრის ნაცვლად ამოქმედებულიყო 2019 წლის 1 იანვრიდან.

ISSUED RECOMMENDATION:

The position stated by the Office of Business Ombudsman of Georgia indicated that consideration of the above-mentioned remarks by the National Bank ensures that the process is done smoothly. Companies will be able to satisfy the requirements of the National Bank of Georgia, avoiding negative results and not impacting their work. Also, through the engagement and consultations with the stakeholders, the Business Ombudsman's Office considered it appropriate that the abovementioned regulations would be in place from January 1, 2019 instead of November 1, 2018.

შედეგი:

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ნაწილობრივ გაითვალისწინა საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის რეკომენდაციები და ზემოაღნიშნული რეგულაცია ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან, ნაცვლად დაგეგმილი 2018 წლის ნოემბრის თვისა, ასევე შერბილებული იქნა ფიზიკური პირებისთვის სესხის გაცემის კრიტერიუმები.

RESULT:

The National Bank of Georgia partially considered the recommendations of the Office of the Business Ombudsman of Georgia and the abovementioned regulation was launched from January 1, 2019 instead of November 2018, and credit criteria for individuals was also simplified.

მაგალითი N10: ახალი რეგულაციები სურსათის ეტიკეტირების შესახებ

მოპასუხე უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მოკლე აღწერა:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართა საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციამ, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების გადავადებასთან დაკავშირებით.
როგორც განცხადებაშია აღნიშნული, დარგში მომუშავე კომპანიები ახორციელებენ მრავალი სახეობის პროდუქციის მასობრივ და უწყვეტ წარმოებას, რომელთაც გააჩნიათ შენახვის/ვარგისიანობის დიდი ვადა. პროდუქცია სადისტრიბუციო კომპანიების მიერ ჩაშვებულია ბრუნვაში და იგი სარეალიზაციო ქსელში განთავსებული შეიძლება იყოს რამდენიმე თვის განმავლობაში. აღნიშნულ პროდუქციაზე კი ეტიკეტი დატანილია მოქმედი რეგულაციით. შესაბამისად, 2018 წლის 1 მარტამდე კომპანიები ვერ ახერხებდნენ აღნიშნული მარაგის ამოწურვას, მისი ჩამოწერა და განადგურება კი დიდი ფინანსური ზარალის მომტანი იქნებოდა მათთვის.

CASE N10: NEW REGULATIONS ON GROCERY LABELING

RESPODENT ENTITY: MINISTRY OF ENVIRONMENT ROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

SHORT DESCRIPTION:

The Business Associations of Georgian Distributors turned to the Office of Business Ombudsman of Georgia to postpone introduction of technical regulations on providing information to the user on food product, approved by the Government of Georgia.
As stated in the statement, companies working in the field carry out massive and continuous production of many varieties of products with a long period of storage/validity. The products are distributed by distribution companies and they might be placed in the realization network for several months. Information on the labels of the products are indicated by the current regulation. Accordingly, until March 1, 2018, companies could not afford the outflow of the reserves, the discard and elimination of the product would have been a big financial loss for them.

გაცემული რეკომენდაცია:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი დაეთანხმა საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის პოზიციას, რომ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის 301 დადგენილებით დამტკიცებული მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების ვადა გადაწეულიყო 2019 წლის 1 მარტამდე

ISSUED RECOMMENDATION:

Based on the above mentioned, the Office of Business Ombudsman of Georgia agreed with the position of Business Associations of Georgian Distributors that the term of entry into force of technical regulations on supply of food to consumers approved by the Resolution N 301 of July 1, 2016 to be postponed to March 1, 2019.

შედეგი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სრულად გაიზიარა ბიზნესომბუდსმენის აპარატის რეკომენდაცია და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაგეგმილი რეგულაციები ამოქმედდება 2019 წლის 1 მარტს.

RESULT:

The Ministry of Environment Protection and Agriculture has fully accepted the recommendation of the Office of Business Ombudsman and the regulations set out by the Government of Georgia will be launched on March 1, 2019.

მაგალითი N11: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის თაობაზე

CASE N11: ON THE ORGANIC LAW OF GEORGIA ON AGRICULTURAL LAND

მოპასუხე უწყება: საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი

RESPODENT ENTITY: ON THE ORGANIC LAW PROJECT OF GEORGIA ON AGRICULTURAL LAND

მოკლე აღწერა:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა განიხილა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი, რომლის მიღების მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის, რაციონალური გამოყენების პრინციპებისა და მიწის მდგრადი მართვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების დადგენა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების გამქვირვალე და ერთიანი სისტემის შექმნა.

SHORT DESCRIPTION:

The Office of Business Ombudsman of Georgia reviewed the project of Organic Law on Agricultural Land, which aims at identifying the main directions of agricultural land as a special purpose resource, rational use policy and the sustainable management state policy, creating a transparent and unified system of ownership rights on the agricultural land.

გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის მოსაზრებით მნიშვნელოვანია კანონპროექტის მომზადების პროცესში გათვალისწინებული იყოს შემდეგი პრინციპები: შესაძლებელი უნდა იყოს მიწის, როგორც აქტივის, საფინანსო ინსტიტუტებში უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება; კვალიფიციურ ინვესტორებს, რომლებიც არ არიან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები/საწარმოები და წარადგენენ გამართულ საინვესტიციო პროექტს, უნდა ჰქონდეთ საშუალება, შეიძინონ მიწა, როგორც აქტივი; საინვესტიციო აგროპროექტების ცხადი და გამქვირვალე შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება.

ISSUED RECOMMENDATION:

According to the Office of Business Ombudsman of Georgia, the following principles should be considered in the process of preparation of the law: it should be possible to use the land as a means of asset and means of support at financial institutions; Qualified investors who are not citizens of our country or enterprises and present a proper investment project should have the opportunity to purchase the land as an asset; Development of clear and transparent assessment criteria for investment agro-projects

შედეგი:

აღნიშნულ საკითხზე გრძელდება სამუშაო პროცესი

RESULT:

The work process continues on this issue

მაგალითი N12: მოსწავლეებისადმი მინიჭებული შეღავათების დაბეგვრის წესი

CASE N12: THE RULE FOR TAXING THE PRIVILEGES GRANTED TO STUDENTS

მოპასუხე უწყება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო

RESPODENT ENTITY: DISPUTE REVIEW BOARD AT THE MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA

მოკლე აღწერა:

ერთ-ერთი სასწავლო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა შეისწავლა კერძო საგანმანათლებლო სკოლის მიერ მოსწავლეებისადმი მინიჭებული შეღავათების დაბეგვრის წესი. საგადასახადო ორგანოს განმარტებით, საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებულია მხოლოდ სახელმწიფო სტიპენდია. აღნიშნულიდან გამომდინარე, იზრდება მოსწავლეებისადმი მინიჭებული შეღავათების საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბრუნვა.

SHORT DESCRIPTION:

Based on the complaint of one of the educational institutions, the Office of Business Ombudsman of Georgia studied the rules of taxation of the privileges granted to the students by the private school. According to the tax authority, only state scholarship is exempt from income tax. Depending on the above mentioned, taxable turnover for income tax on privileges for students increases.

გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს მიაჩნია, რომ საგანმანათლებლო სკოლასა და მოსწავლეს შორის შეთანხმება სწავლის საფასურის განსხვავებული ოდენობის თაობაზე, თავისი შინაარსით, წარმოადგენს ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად ჩამოყალიბებულ ინდივიდუალური გარიგების ფასს და მისი სტიპენდიად განხილვის არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი საფუძვლები არ არსებობს. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს მიერ სწავლის საფასურის განსხვავებული (შემცირებული) ოდენობის დაკორექტირება (გაზრდა) სტანდარტულ ოდენობამდე, შინაარსობრივად გარიგებისთვის საბაზრო ფასის მისადაგებაა, რომლის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები არ არსებობს.

ISSUED RECOMMENDATION:

The Office of Business Ombudsman of Georgia believes that the Agreement between the education institution and the student on the different amount of the Tuition Fee is the price for the individual as a result of bilateral negotiations and there is no legal or factual basis for consideration of it as a scholarship. Correspondingly, correction (increase) of the different (decreased) amount of tuition fee set by the educational institution to the standard price, is an application of market price to the agreement, for which actual and legal prerequisites do not exist.

შედეგი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დავების განხილვის საბჭომ სრულად გაიზიარა ბიზნესომბუდსმენის პოზიცია და შეცვალა საგადასახადო ორგანოს მიდგომა ზემოაღნიშნული შეღავათების დაბეგვრასთან დაკავშირებით.

RESULT:

The Dispute Review Board at the Ministry of Finance of Georgia fully shared the position of the Office of Business Ombudsman of Georgia and changed the tax authority's approach to taxation of the above-mentioned privileges.

მაგალითი N13: კომუნალური გადასახდელების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით

მოპასუხე უწყება: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

მოკლე აღწერა:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაიწყო საქმის განხილვა კომუნალური გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. არსებული მდგომარეობით ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის, წყალმომარაგების და დასუფთავების მომსახურება და შესაბამისი საფასურის/მოსაკრებლის გადახდა ხორციელდება ადმინისტრირების ერთიანი სისტემით. ადმინისტრირების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინებული სისტემის ამოქმედებამდე, მოსაკრებლების გადახდა ხორციელდებოდა თითოეული კომპანიის მიერ განცალკევებულად. აღნიშნული არ წარმოადგენდა ეფექტურ მექანიზმს, რაზეც სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. კერძოდ, სისტემის ამოქმედებამდე სასმელი წყლის საფასურის გადახდის მაჩვენებელი შეადგენდა რეალიზებული სასმელი წყლის ღირებულების მხოლოდ 47%-ს. სისტემის ამოქმედებამ შესაძლებელობა მისცა თბილისის საზღვრებში მომსახურების გამწევ წყალმომარაგებისა და ენერგოდისტრიბუციის კომპანიებს ეთანამშრომლათ ადმინისტრირების ერთიან სისტემაში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა წყალმომარაგების და დასუფთავების კომპანიებისათვის საყოფაცხოვრებო აბონენტების მიერ მომსახურების ღირებულების გადახდის მაჩვენებელი, რაც მოცემულ ეტაპზე შეადგენს 95%-ს.

CASE N13: ON UTILITY PAYMENTS ADMINISTERING

RESPODENT ENTITY: GEORGIAN NATIONAL ENERGY AND WATER SUPPLY REGULATORY COMMISSION

SHORT DESCRIPTION:

The Constitutional Court of Georgia has started discussing the case on communal tax administration. Currently, payment of appropriate fees/bills for electricity, natural gas, water supply and cleaning services is carried out by the unified administration system. Prior to the enactment of the unified and coordinated system of administration, the fee collection was carried out separately by each company. This was not an effective mechanism, which are also indicated by statistical data. In particular, the payment for drinking water before the system was enacted was only 47% of utilized drinking water. The system enabled the Georgian Water Supply and Energy Distribution Companies operating within the Tbilisi borders to cooperate in the unified system of administration, which significantly improved the payment of bills for service cost by domestic customers for water supply and cleaning companies, which currently is 95%.

BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა „სასამართლოს მეგობრის" ფუნქციის გამოყენებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა მოსაზრება, სადაც მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული ადმინისტრირების სისტემის გაუქმების შემთხვევაში რეალიზებული სასმელი წყლის გადასახადის გადახდის მაჩვენებელი საყოფაცხოვრებო აბონენტების მხრიდან მნიშვნელოვნად გაუარესდებოდა და შემცირდებოდა 95%-დან 64%-მდე, რაც შეაფერხებდა ინფრასტრუქტურის ინტენსიურ რეაბილიტაციას და წყალმომარაგების სისტემის სტაბილურ განვითარებას.

ISSUED RECOMMENDATION:

The Office of Business Ombudsman of Georgia introduced the opinion to the Constitutional Court of Georgia using the function of "court friend", indicating that in case of the cancellation of the abovementioned administration system, the payment of consumed drinking water bills would significantly deteriorate and reduce ranging from 95% to 64%, which would hinder infrastructure intensive rehabilitation and sustainable development of the water supply system.

შედეგი:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ძალაში დატოვა კომუნალური გადასახადების ადმინისტრირების არსებული სისტემა.

RESULT:

The Constitutional Court of Georgia maintained the existing system of communal tax administration.

მაგალითი N14: ელექტროენერგიის მიწოდებისას დეპოზიტზე თანხის განთავსებასთან დაკავშირებით

მოპასუხე უწყება: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

CASE N14: ABOUT THE PUTTING MONEY ON DEPOSIT FOR THE SUPPLY OF ELECTRICITY

RESPODENT ENTITY: GEORGIAN NATIONAL ENERGY AND WATER SUPPLY REGULATORY COMMISSION

მოკლე აღწერა:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართა საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის 20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესის“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ დეპოზიტზე თანხის განთავსებასთან დაკავშირებით. დადგენილების მიხედვით, განაწილების ლიცენზიატს ჰქონდა უფლება მომხმარებლისათვის მოეთხოვა გარკვეული თანხის დეპოზიტზე შეტანა. ასოციაციის განმარტებით, განაწილების ლიცენზიატები აქტიურად იყენებდნენ აღნიშნულ უფლებას და ასოციაციის წევრ კომპანიებს მათ დროებით სარგებლობაში არსებულ ფართში აბონენტად რეგისტრაციისას თხოვდნენ თანხის დეპოზიტზე განთავსებას, რაც მნიშვნელოვან ტვირთად აწვებოდა კომპანიებს.

SHORT DESCRIPTION:

The Business Association of Georgia turned to the Office of Business Ombudsman of Georgia, concerning the placement of money on the deposit approved by the National Energy and Water Supply Regulatory Commission on September 18, 2008 Decree 20 "electricity (capacity) supply and consumption rules" the first paragraph of Article 10. According to the resolution, the distribution license holder had the right to request a consumer to deposit a certain amount. According to the Association, distribution licenses actively employed this right and demanded that the association member companies to place certain amount on the deposit for registering as a user at the territory in their temporary use, which was a significant burden for the companies.

BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის მოსაზრებით, თანაბარმნიშვნელოვნად უნდა იყოს დაცული როგორც ელექტროენერგიის მომხმარებელი მეწარმე სუბიექტების ინტერესი - დეპოზიტზე განთავსებული ფულადი სახსრები მოახმარონ კომპანიის განვითარებას, ისე განაწილების ლიცენზიატების უფლება - ელექტროენერგიის დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში არ დადგნენ რისკის წინაშე. შესაბამისად, კომპანიებს უნდა მიეცეთ უფლება დეპოზიტზე თანხის განთავსების სანაცვლოდ, განაწილების ლიცენზიატს წარუდგინონ უზრუნველყოფის ალტერნატიული საშუალებები, როგორიცაა საბანკო გარანტია, დაზღვევის პოლისი ან დროებით სარგებლობაში არსებული ფართის მესაკუთრის თავდებობა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კომპანია არ შეიზღუდოს უზრუნველყოფის საშუალების არჩევაში და განაწილების ლიცენზიატმა მიიღოს კომპანიის მიერ წარდგენილი ალტერნატიული უზრუნველყოფის საშუალება.

ISSUED RECOMMENDATION:

According to the Office of Business Ombudsman of Georgia, the interests should be equally protected of the entrepreneurial entities consuming electricity – to use the funds deposited on their deposit for the development of the company, as well as of the rights of distributor licensees - in case of electricity liabilities not to face risks. Correspondingly, companies should be allowed to provide the distribution license-holder alternative sources of security such as bank guarantee, insurance policy or the placement of the ownership of the space in the temporary use instead of transferring the amount on their deposit. In addition, it is important that the company should not be limited to the choice of the provision of provided alternatives and the distribution licensee will get an alternative opportunity offered by the company.

შედეგი:

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ნაწილობრივ გაითვალისწინა საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის რეკომენდაცია. კერძოდ, თუ მომხმარებელი მეწარმე სუბიექტია, მას უფლება აქვს განაწილების ლიცენზიატს დეპოზიტზე თანხის შეტანის სანაცვლოდ იმავე ღირებულების უზრუნველყოფის ალტერნატიულ საშუალებად საბანკო გარანტია წარუდგინოს.

RESULT:

The Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission partially considered the recommendation of the Business Ombudsman's Office. In particular, if the user is an entrepreneurial entity, it is entitled to request distribution licensee to provide the banking guarantee as an alternative means for the same value instead of allocating the money on the deposit.

BUSINESS OMBUDSMAN
OF GEORGIA

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

მაგალითი N15: სალიზინგო და არასაბანკო ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებით

მოპასუხე უწყება: საქართველოს პარლამენტი და საქართველოს ეროვნული ბანკი

მოკლე აღწერა:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართეს საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციამ, საქართველოს სალიზინგო კომპანიების ასოციაციამ და საქართველოს ბიზნეს ასოციაციამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილ და დაგეგმილ ზოგიერთ ცვლილებასთან დაკავშირებით. ცვლილებების მიხედვით, ლიზინგის გამცემი სუბიექტები ვალდებულები ხდებოდნენ ხელშეკრულებაში საპროცენტო სარგებელი ცალკე მიეთითებინათ. ასევე, იზრდებოდა ეროვნულ ვალუტაში გასაცემი ლიზინგის ღირებულების მაქსიმალური 100 000 ლარიანი ლიმიტი 200 000 ლარამდე, რაც ფიზიკურ პირებთან ერთად იურიდიულ პირებზეც გავრცელდებოდა. განმცხადებლების მოსაზრებით, ცვლილების განხილვისას მიზანშეწონილია გათვალისწინებული ყოფილიყო ლიზინგის ურთიერთობის არსი და მისი სპეციფიკა, რადგან ლიმიტის გაზრდა სალიზინგო კომპანიებს გაურთულებდა და გაუძვირებდა ფულადი რესურსების მოძიებას.

CASE N15 ON LEASING AND NON-BANKING ORGANIZATIONS

RESPODENT ENTITY: PARLIAMENT OF GEORGIA, THE NATIONAL BANK OF GEORGIA

SHORT DESCRIPTION:

Georgian Microfinance Association, Association of Leasing Companies of Georgia and Georgian Business Association have turned to the Office of Business Ombudsman regarding the amendments to the Civil Code of Georgia. According to the amendments, leasing issuers were obliged to specify the interest margin in the contract separately. In addition, the maximum amount of leasing cost to the national currency increased from 100 000 GEL up to GEL 200 000, which would be extended to legal entities together with individuals. According the opinion of the applicants, while discussing the amendment it is advisable to consider the essence of the lease relationship and its specifics, as the increase of limit for leasing companies would complicate and raise the search for monetary resources.

გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა გაიზიარა ასოციაციების მიერ დასმული საკითხების მნიშვნელობა და მათი მხარდაჭერის საჭიროება. მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების ამ სახით ამოქმედება არსებით გავლენას მოახდენს საფინანსო-საკრედიტო მომსახურებით დაკავებული კომპანიების საქმიანობაზე და საჭიროა აღნიშნული საკითხების განსხვავებულად მოწესრიგება. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული საკითხების განხილვის პროცესში ჩართული იქნეს დარგში მომუშავე ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

ISSUED RECOMMENDATION:

The Office of Business Ombudsman of Georgia accepted the importance of the issues raised by associations and the need for the support. We believe that such enactment of the proposed amendments to the Civil Code of Georgia will have a substantial impact on the activities of the companies involved in financial-credit services and it is necessary to differentiate these issues while organizing. Consequently, the Parliament of Georgia has been recommended that organizations and other stakeholders operating in the field be involved in the process of discussing these issues.

შედეგი:

გაზიარებული იქნა ბიზნესომბუდსმენის რეკომენდაცია საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური განმარტებების დაზუსტების შესახებ, ხოლო 200 000 ლარიანი ლიმიტის საკითხი არ დაკმაყოფილდა.

RESULT:

The recommendation of the Business Ombudsman was accepted on the clarification of terminological explanations related to the interest rate and the issue of 200 000 GEL limit was left without consideration.

მაგალითი N16: „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის თაობაზე

CASE N16 ON THE PROJECT OF THE "ORGANIC LAW OF GEORGIA ON LABOR SAFETY"

მოპასუხე უწყება: საქართველოს პარლამენტი

RESPODENT ENTITY: PARLIAMENT OF GEORGIA

მოკლე აღწერა:

დაინტერესებული მხარეების ჩართულობით საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა განიხილა „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტი. კერძო სექტორის წარმომადგენლები შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის პროექტის არსებულ რედაქციას ბიზნესისათვის უკიდურესად სახიფათოდ მიიჩნევენ, რადგან დღის წესრიგში დგას კანონის მოქმედების სფეროს გავრცელება აბსოლუტურად ყველა ტიპის საქმიანობაზე, მათ შორის ისეთებზე, რაც არანაირ არსებით საფრთხესთან არაა დაკავშირებული დასაქმებულებისათვის და ამ გზით იგეგმება ქვეყანაში არსებულ თითოეული კომპანიისათვის, მეწარმე ფიზიკური პირებისათვის და ადმინისტრაციული ორგანოებისთვისაც კი ისეთი სამართლებრივი ტვირთის დაკისრება, რაც დაკავშირებული იქნება მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან. კანონპროექტის მიხედვით, ნებისმიერ კომპანიას, მეწარმე ფიზიკურ პირს, მიკრო თუ მცირე ბიზნესს და ადმინისტრაციულ ორგანოს, მიუხედავად მისი ზომისა და საქმიანობის სფეროსი, მოუწევს ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ფულადი რესურსის გაღება, რათა დააკმაყოფილონ კანონის ახალი მოთხოვნები.

SHORT DESCRIPTION:

With the involvement of stakeholders, the Office of Business Ombudsman of Georgia discussed the draft low project of Organic Law on Labor Safety.

Private sector representatives consider the current editorial of labor safety law project extremely dangerous for business, as the scope of the low is to cover absolutely all types of activities, including those that are not connected to any substantial threat to the employees, and in this way it will cause a legal burden to each company, entrepreneurs, and administrative organs which will be related to significant financial expenses. According to the draft law, any company, entrepreneur, micro or small business and administrative body, regardless of its size and scope, will have a significant financial expense annually to meet new requirements of the law.

BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

გაცემული რეკომენდაცია:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა გაიზიარა ბიზნესის პოზიცია და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ საქართველოს პარლამენტს რეკომენდაციით მიმართა. რეკომენდაცია 4 კრიტიკულ საკითხს ეხებოდა:

- „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის გავრცელება ეკონომიკის ყველა დარგზე;
- შრომის პირობების მაკონტროლებელი ორგანოსათვის (შრომის ინსპექციისათვის) შრომითი უფლებების დაცვის კონტროლის უფლებამოსილების მინიჭება;
- შრომის პირობების მაკონტროლებელი ორგანოს (შრომის ინსპექციას) უფლება შევიდეს ნებისმიერ სამუშაო ადგილას, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ჯერადობით, წინასწარი შეტყობინებისა და მოსამართლის ბრძანების გარეშე;
- სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედება გახდეს მაკონტროლებელი ორგანოს (შრომის ინსპექციის) წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული საკითხები დამატებით გააზრებას საჭიროებს და მათი პრაქტიკაში რეალიზებისთვის არც მაკონტროლებელი ორგანო (შრომის ინსპექცია) და არც ბიზნესი ამ ეტაპზე მზად არ არის.

ISSUED RECOMMENDATION:

The Office of Business Ombudsman of Georgia shared the opinion of business and turned to the Parliament of Georgia with recommendation on planned amendments. Recommendation covered 4 critical issues:

- The Law of Georgia on Labor Safety to cover all sectors of economy;
- To grant labor right protection control to the Labor Controlling Body (labor Inspection);
- The Labor Controlling Body (Labor Inspection) shall be entitled to any workplace at any time and without any delay, prior notice or a judicial order;
- Criminal offense to be an obstacle against the representative of a controlling body (labor inspection).

We believe that the above-mentioned issues require more deep consideration and neither the controlling body (labor inspection) or the business is ready at this stage for realization of it in the practice.

შედეგი:

საქართველოს პარლამენტმა ბიზნესომბუდსმენის 4 შენიშვნიდან ორი სრულად გაითვალისწინა. შედეგად, შრომის პირობების მაკონტროლებელი ორგანოს (შრომის ინსპექციის) არ ექნება შრომითი უფლებების დაცვის კონტროლის უფლებამოსილება და მაკონტროლებელი ორგანოს (შრომის ინსპექციის) წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა არ იქნება სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედება.

RESULT:

The Parliament of Georgia fully considered 2 out of 4 memorandums of the Business Ombudsman. Consequently, the Labor Controlling Body (Labor Inspection) will not have the power to control labor rights and resistance towards the representative of a controlling body (labor inspectorate) will not be a criminal offense.

მაგალითი N17: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართული კლინიკების მიმართ ჯარიმების დაკისრებისა და აღსრულების წესის ცვლილების შესახებ

CASE N17: ON THE CHANGES ABOUT PENALTIES AND RULES OF ENFORCEMENT FOR THE CLINICS INVOLVED IN THE UNIVERSAL HEALTH CARE PROGRAM

მოპასუხე უწყება: ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

RESPODENT ENTITY: MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM OCCUPIED TERRITORIES, LABOR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

მოკლე აღწერა:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით მიმართა რამოდენიმე სამედიცინო დაწესებულებამ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის - „გეგმიური ამბულატორიული მომსახურების“ ფარგლებში განხორციელებულ შემოწმების შედეგებთან და დაკისრებულ საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით. შემოწმების შედეგად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოყენებულმა საჯარიმო სანქციებმა მილიონობით ლარი შეადგინა. განმცხადებლების ინფორმაციით, ისინი დაჯარიმებულნი არიან დიდი მოცულობის თანხებით, რომელთა გადახდის საშუალებაც მათ არ გააჩნიათ და აღსრულება ხორციელდება პროგრამის ფარგლებში მისაღები თანხის დაკავებით, რაც სამედიცინო დაწესებულებებს აყენებს მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში.

SHORT DESCRIPTION:

Several medical institutions turned to the Office of Business Ombudsman of Georgia with regard to the results of the inspection carried out within the framework of the state healthcare program - "Regular outpatient services" and imposed penalty sanctions. As a result of the inspection, the penalty sanctions applied by the LEPL Social Service Agency amounted to millions of lari. According to the applicants, they are fined with large amounts of money and that they do not have the ability to pay, and the enforcement is carried out by the detention of the funds received under the program, which puts the medical establishments in a severe and inadequate condition.

გაცემული რეკომენდაცია:

დაინტერესებული მხარეების ჩართულობით საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა შეისწავლა საკითხი. საჯარიმო სანქციების ამოღების არსებული მექანიზმის გამოყენება საფრთხეს უქმნიდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, რომ გარკვეული ვადით გამოცხადებულიყო მორატორიუმი სამედიცინო დაწესებულებებისთვის გეგმიური ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში დაკისრებული საჯარიმო სანქციების დაკავების გზით აღსრულებაზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმოედგინა წინადადებები საჯარიმო სანქციების ოდენობებისა და მათი გადახდის ადმინისტრირების წესის, ასევე დავის განხილვისა და გადაწყვეტის წესის ოპტიმიზაციის მიმართულებით.

ISSUED RECOMMENDATION:

The Office of the Business Ombudsman studied the issue with the involvement of stakeholders. The use of existing mechanisms for taking penalty sanctions threatened the implementation of the state healthcare program and, consequently, the completion of commitment towards the state in the health care. Consequently, the Ministry was recommended to announce moratorium for a certain period of time for the enforcement of the penalties imposed on medical institutions through detention of the funds received under regular outpatient services program. And to present ways on the penalty sanction amounts and administering the payments as well as in the direction of optimizing reviewing and resolving disputes by the Ministry of Internally Displaced Persons from Occupied Territories, Labor, Health and Social Affairs of Georgia

შედეგი:

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ გაცემული რეკომენდაცია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. 2018 წლის ნოემბრიდან სამედიცინო დაწესებულებებისთვის გეგმიური ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში დაკისრებული საჯარიმო სანქციების დაკავების გზით აღსრულებაზე მორატორიუმი ამოქმედდა და უწყებათაშორისმა კომისიამ დაიწყო მუშაობა ბიზნესომბუდსმენის ინიციატივაზე საყოველთაო ჯანდაცვაში ჩართული კლინიკების მიმართ ჯარიმების დაკისრებისა და აღსრულების წესის ოპტიმიზაციის მიზნით.

RESULT:

The recommendation issued by the Office of Business Ombudsman of Georgia was partially satisfied. The moratorium was put into effect since November 2018, on imposing penalty sanctions for medical institutions under regular outpatient services program and the commission started to work on the Business Ombudsman initiative to optimize enforcement of rules for imposing penalties on clinics involved in universal health care program.

2019 წლის საქმიანობის პრიორიტეტული თემები

Priority Issues for activities in 2019

- სასამართლოს მეგობრის ფუნქციის (Amicus Curiae) გაძლიერება
  Strengthening "Court Friend" (Amicus Curiae) Function
- სასამართლო დავების ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობა
  Enhance the effectiveness of judicial disputes
- სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზებისას სახელმწიფო რეგულირების პროცესში ბიზნესის ინტერესების ხელშეწყობა
  Promote business interests in state regulation during privatization of agricultural land
- რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA) სისტემის დანერგვის მხარდაჭერა
  Supporting the implementation of the Regulatory Impact Assessment (RIA) system
- ანალიტიკური მიმართულების გაძლიერება
  Strengthening the analytical direction
- მცირე ბიზნესის საკითხებზე ფოკუსირება
  Focus on small business issues
- ბიზნესომბუდსმენის ჩართულობის გაძლიერება სადისკუსიო პლატფორმებში - პარლამენტი, სექტორული სამინისტროები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები
  Strengthening the involvement of Business Ombudsman in discussion platforms - Parliament, sector ministries, local municipalities
- აქტიური კომუნიკაცია ბიზნეს ასოციაციებთან, იურუდიულ და საკონსულტაციო კომპანიებთან არასამთავრობო სექტორთან
  Active communication with business associations, juridical and consulting companies, NGOs
- საკანონმდებლო ინიციატივების შეფასება, არსებულის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენა
  Assessment of legislative initiatives, monitoring existing ones and identifying faults
- ბიზნესის მხარდამჭერ საერთაშორისო გაერთიანებებთან კომუნიკაცია და მათ საქმიანობაში ჩართულობა
  Communicate with international communities supporting businesses and engage in their activities
- ბიზნესის კეთილსინდისიერების მიმართულებით ცნობიერების ამაღლება
  Increase awareness of BUSINESS INTEGRITY
- საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გამჭვირვალობის გაზრდის ხელშეწყობა
  To promote transparency in cooperation between public and private sector
- შესაძლო კორუფციისგან ბიზნესის დაცვა
  Protect business from possible corruption
- ბაზარზე თავისუფალი და გამჭვირვალე ბიზნესგარემოს უზრუნველყოფა
  Provide free and transparent business environment on the market

საკონტაქტო ინფორმაცია / CONTACT INFORMATION

მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. 7
ქ. ბათუმი, გამსახურდია ქ. 9
ცხელი ხაზი: +995 32 2 282828
ელ. ფოსტა: ask@businessombudsman.ge
ვებგვერდი: www.businessombudsman.ge
პორტალი: www.portal.businessombudsman.ge

Address: 7 Ingorokva str., Tbilisi 0114
9 Gamsakhurdia str., Batumi 6010
Hotline: +995 32 2 282828
E-mail: ask@businessombudsman.ge
Web: wwww. businessombudsman.ge
Portal: wwww. portal.businessombudsman.ge

BUSINESS OMBUDSMAN OF GEORGIA

საქართველოს ბიზნესომბუდსმენი

საქართველოს
ბიზნესომბუდსმენი

BUSINESS OMBUDSMAN
OF GEORGIA

2018